ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ. № .8 ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ.

15 აპრილი 1915 წ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

1. მერი—ლექსი, გ. ტაბიძისა.
2. თამარი, დ. თურდოსპირელისა.
3. ბრწყინვალე მომავლისკენ, ივ. ი—ნისა.
4. საადგომო კაბა, მოთხრობა, კირილე წუთისოფლელისა.
5. დაღუპული ოჯახი, რ. საჯაიანოელისა.
6. რა არის ცოცხალი ორგანიზმი? ექიმი ბიდრიძისა.
7. ჩვენი მდგომარეობა, იასონ ლორთქიფანიძისა.
8. ჩვენი ახალი ლიტერატურის ისტორიიდან, ნ. ნიკოლაძისა.
9. კრიტიკა, ი. გრიშაშვილი, იპ. ვართაგავა.
10. ყულაბის მოპარვა, X-ისა.

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ
სტამბა „ᲫᲛᲝᲑᲐ“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარგეოვისა.

მეაბრეშუმეთა საყურათღებოთ!

მიუხედავათ ომისა და საქონლის გაძვირებისა ჩვენ დიდ ძალი აბრეშუმის თესლი გამოვგზავნეთ ქუთაისში, საუკეთესო საფრანგეთის ფირმებისა, საფრანგეთის მთავრობის მიერ შემოწმებული და საფრანგეთის სამეურნო სამინისტროს ბანდეროლით კოლოფებზე, ასე რომ კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მიერ შემოწმება არ ჭირდება, რადგან საფრანგეთის მართებლობა მარტო საღს თესლს უშვებს უცხოეთში.

თითო კოლოფი შეიცავს 7 მისხალ თესლს და მისგან მოყვანილი პარკი 10% მეტ რანდემანს იძლევა. მსურველთ ჩვენი თესლი შეუძლიათ შეიძინონ

ქუთაისში, ისიდორე კვიცარიძესთან, „იმერეთის“ კანტორაში.

გთხოვთ დაუჩქაროთ ამ ერთათ ერთი საღი თესლის შეძენას!

პატივისცემით ლვით ლომბაშიძე და ამხ., ლონდონში.

ეოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

(სურათებიანი დამატებით).

წლიურათ ღირს 8 მან. 50 კ. ერთის თვით—75 კაპ.

მისამართი: Тифлисъ, газ. „Сахалхо Пурцели“ поч. ящ. № 190.

თფილისის წიგნის მაღაზიებში იყიდება

გ. თუმანიშვილის წიგნები:

Итоги земскихъ совѣщаній на Кавказѣ.

ფ. 60 კაპ.

Характеристика и воспоминанія.

(ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები.- ქართული თეატრი. --რუსის მწერლები და მოღვაწეები კავკასიაში).

მეორე შევსებული გამოცემა. ფ. 50 კაპ.

ПЕРВЫЙ КАМЕНЬ

(Къ закладкѣ фундамента Тифл. Политехникума).

ფ. 15 კაპ.

განთიადი

№ 8. 15 აპრილი 1915 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

მერი.

შეხ ზღვის პირათ მიდიოდი, მერი,
სხივქვეშ თრთოდა შენი ნაზი ტანი,
და გფარავდა მწვანე სუროსფერი,
ცაცხვისა და ალვის ხეივანი.
შენს ღიმილში მწუხარების ჩქერი,
მოულოდნელ სიყვარულათ ვცანი.
როგორც მთვარის შუქი ალმაცერი,
როგორც სიოს უცხო მიმოხვრანი.
ამ ღიმილში უცხო, შვენიერი,
გამოკრთოდა სევდა—კაეშანი,
როგორც სხივზე ყვავილების მტვერი
ცისკრის ნამით თრთოლვილ ვანაბანი...
იმ ღიმილზე, იმ სევდაზე ვმღერი,
ბანს მაძლევენ ყვავილნი და მთანი...
მერი, ჩემო შორეულო, მერი,
შენკენ მოქრის ბედის იალქანი.

გ. ტაბიძე.

თამარი.

რა ტურფაა... რა მომხიბლავია თამარი... არ შეიძლება არ შეიყვარო ის, თუ გესმის სილამაზე... სიშვენიერე... სიკეკლუცე...

იხილე იგი და კვლავ მოთხოვე შენს თავს იყო ერთგული სხვა ქალისა... არა, არა... არ შეიძლება ესა... თამარის უგულებელ ყოფა-შეურაცხყოფა იქნება სილამაზისა... შეგინება სიყვარულისა... მკვრეხელობა წმიდათა წმიდისა...

იგი შემიყვარდა გაგიჟებით, გახელებით, რა წამსაც-კი შემომანათა თვალები... მან დაისაკუთრა ჩემი გული, მიუხედავათ იმისა, რო მე კანონიერათ ვეკუთვნი სხვა ქალს, რომელსაც ეწოდება ჩემი ცოლი.

ცოლი!.. ცოლი!..

ცოლი იმასა და იმის თავს... რა ვუყოთ, თუ მასთან ვარ შეუღლებული... რა ვუყოთ, თუ ხალხი, საზოგადობრივი შეხედულობა მავალებს პირობის მტკიცეთ შენახვას—მე სრულებითაც არ ვუწევ მათ ანგარიშს... მე არა მწამს ამ გრძნობაში კანონი, წესი.. საზოგადობრივი შეხედულობა... სიყვარული თავისუფალია... არ შეიძლება მისი მომწყვდევა და დამორჩილება, როგორც ვერ მოიმწყვდევთ წყვდიადში მზის სხივს, ვერ დაიმონებთ ნიავს, ვერ შებორკავთ მგოსნის ოცნებას...

ხო და, მაშ, რა უფლება აქვს ჩემს ცოლს მომთხოვოს ვიყო მისი ერთგული და ნიადაგ მას ვეტრფიალო, თუ-კი სხვა მიყვარს... რა უფლება აქვს მომიწვეს ამაღამ გვერდით, თუ-კი ჩემი სული შორს, ძლიერ შორსაა მისგან...

მიკვირს, ან აქამდი როგორა ვცხოვრობდი მასთან, როგორ დავიწერე ჯვარი?..

ეჰ, რა ჩემი ბრალია... რა ჩემი ბრალია, რო წინათ ვერ შევხვდი თამარს, რომელიც ჩემს ღმერთადაა დაბადებული...

თამარი... თამრო...

თვით მისი სახელიც-კი მომთხრობელია მისი ჯადოსნური შვენიერებისა.

მსგავსათ მისტიური ლოგოსისა ამ სახელის თითოული ასო ღაღადებს მასზე, რაც უძვირფასესია ცათა და ქვეყნათ... რაც აშარავანდედებს ჩვენს უხანო, ტიალს ცხოვრებას...

აი უყურეთ:

— Ორთოლაა უბიწოო სიყვარულისა.

— Ამბორებაა ქალწულებრივი გაზაფხულისა...

— Მითია, ზღაპარია უუსაყვარლეს საქართველოს კეკლუცი ბუნებისა.

— Რიჟრაჟია — უთვალავი სხივებით შეფერუზ-შემარგალიტებული რიჟრაჟი უკვდავებისა.

— Ოცნებაა, ნათელი სიზმარია ატეევრებული წალკოტის კდემა-მოსილი ფერიებისა...

თამრო!.. თამარი!..

ახ, ნუ მაგონებთ ღვთის გულისთვის ჩემს ცოლს... მე მიყვარს თამარი... მე მარტოთ-მარტო თამარი მიყვარს და ეს სიყვარული წრფელი ცრემლებით მინდა წავაწერო მზის სხივებზე... ვარსკვლავ-მთიებზე... ზღვის ჰავლებზე... მოხასხასე ყვავილ-ფოთლებზე...

ნუ, ნუ მაგონებთ, ღვთის გულისთვის, ჩემს ცოლს...

ნუ მიმღვრევთ ცნობას...

დ. თურდოსპირელი.

ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ

(გაგძელება).

ძველი სტუმრები შეუერთდენ ახალ მოსულებს. გაჩაღდა ხელებზე და თავ-პირზე კოცნა, ალერსიანი მისალმება და ეშხიან თვალთა ციმციმი.

ბაბომ ისინი აივანზე მიიპატიჟა. სულ ცოტა ხანში ისევ გაგძელდა მხიარული ბაასი. სტუმრები გძნობდენ სადილის მოახლოვებას და ყოველი მათგანი ცთილობდა საყურათღებო რამ ეთქვა.

ძლიერი ბოხის ხმით ალაპარაკდა ვახტანგ ამირეჯიბი.

— ბატონებო, დაიწყო მან, ბოროტ ენებს ბევრი ცუდი შეუძლიათ თქვენ ჩემ შესახებ, აბა, რა მენაღვლება. მარა ვახტანგ ამირეჯიბი მშიშარააო — ვერავინ იტყვის.

დაგარწმუნებთ, შიში არას დროს არ მიგრძვნია. ცოფიან მგელსაც არ მოვრიდებივარ!.. ნაფუტკრი დათვი დამედევნა ერთხელ, მარა ყურებში ხელი ჩავავლე და ეგრე დავიმორჩილე!

დღეს-კი, შეიარაღებული ინგუშები რო დამყვებიან, ვიღაც — ვიგინდარებს გონიათ თითქო შეშინებული ვიყო. რაც უნდათ, ისა თქვენ!..

ირაკლი მეფე იტყოდა, თურმე, აი, ჩვენი პატარა კახი:

— ვაშკაცს ვაშკაცის როდი უნდა ეშინოდეს, საშიშარია მხოლოთ გლახაკი და ზურგიდან შემპარავიო--

უნდა გითხრათ სიმართლე, მეც აგეთი გმირების სხვრეპლი შევიქენი!

კეთილი გულის მეტი, აბა, რა მიმიძღვის ჩემ გლეხებთან. სანამდი მაფასებდენ — მეც მათი პატრონი ვიყავი, ფული, ხორბალი, თუ სიმიდი, რამდენჯერ წაულიათ ჩემგან მაგ უმადურებს. დღეს-კი, ვიღაც ავაზაკების ჩაგონებით ამიჯანყდენ, აბა! ამიჯანყდენ, ბატონო! რაო და, ვინ მოგცათ ამდენი მამულიო!

ტყე ამიჩეხეს, მოურავი ოთხჯერ გამილახეს და მეც სიკვდილით მემუქრებოდენ: — არ გვიჩივლო მთავრობასთანო!.. ასეთი თავგასულობა გინახავთ?..

— ძირს ბატონ-ყმობაო! იძახდენ ეგ ცოდვის შვილები, თითქო მართლა ბატონ-ყმობის ხანაში ვცხოვრობდეთ?

მოგვეცათ სიცოცხლე ისინი ავალაგმინე! ლაპარაკში ჩაერია ჯერ კიდევ ახალგაზდა უნივერსიტეტ დამთავრებული თავადი კოტე ყურუშიანი.

— შეცნიერებაში უკვე დამტკიცდა ის აზრიო, განაცხადა მან, რო ბატონ-ყმობას საქართველოში ადგილი არ ქონებია; ამ აზრს მე სავსებით ვეთანხმები და ამასვე ამტკიცებდა თვის ეკონომიურ გამოკვლევაში აწ განსვენე-

ბული პუბლიცისტი მიხეილ წერაშვილი. ზოგიერთი უნიჭო მწერლები-კი დღესაც გაიძახიან:

— სოციალური განხეთქილება მუდამ ყოფილა—მუდამ იქნებაო!

— O tempora, o mores!

დაამთავრა კოტე ყურუშიანმა თვისი აზრი ციცერონის უკვდავი სიტყვებით და მეცნიერულის სიდინჯით გადახედა კნეინებს, თავადებს და თავადთა ასულებს, თითქო სურდა გაეგო: აბა, თუ ვინმე აპირობს საწინააღმდეგოთ გამოლაშკრებასო.

ხმასაც არავინ იღებდა!

ლაპარაკმა მეტათ სერიოზული ხასიათი მიიღო, რაც სრულიათ არ შეფეროდა სამხიარულოთ მოსულ სტუმართა სულიერ განწყობილებას.

სასურველი სიხალისე მხოლოთ შვენიერ ვალიდას ლაპარაკს შეეძლო გამოეწვია და ეს უკანასკნელიც სწორეთ ამ დროს აჭიკჭიკდა.

მისმა ფაქიზმა მიხვრა-მოხვრამ, ჯადოსნურმა ღიმილმა და გულ-მკერდის ხელოვნურათ თამაშმა ხალისი დაბადა.

ყველანი სმენათ იქცენ და გასხივებული სახით შეცქეროდენ ამ ქალს, რომლის მაკვიტშავ თვალებს არა ერთი ახალგაზდა დაუსნეულებია.

ვალიდა ბავშვივით ტიკტიკებდა რაღაც სისულელეს, მარა ისეთი სიამოვნებით, ისეთი გატაცებით უსმენდენ, თითქო მარგალიტები ცვიოდა იმ პაწაწინა ვარდისფერ ტუჩებს, რომელთა არსებობის მიზანი მხოლოთ კოცნა იყო და მეტი არაფერი.

ბედნიერი ცოლი გაუბედურებულ მეულლისა, ვალიდა ხუთი წელიწადი იქნება, რაც თავბრუს ახვევს ქუთაისის საზოგადოებას, როგორც კაცებს, ისე ქალებს. მისი სახელი ყველას პირზე აკრავს, ყველა მაზე ოცნებობს, იმღერის და სასიმღერო ლექსებსაც თხზავს.

ამ რომანტიულ ქალაქში ხშირათ აყალმაყალიც-კი ხდება ვალიდას ღირსებათა დაფასების ნიადაგზე. ესენი ყველა კარგათ იცის ეშმაკმა ვალიდამ, მარა რა ქნას? რა მისი ბრალია?

ბულბული ვარდს და ეკალზე
თანასწორ მომღერალია?!

შვენიერი აფროდიტა ხშირათ დადის ქალაქის თეატრში და სასეირნო ბაღში თაყვანისმცემლებით გარშემოხვეული. მისი კანონიერი ქმარი-კი, საბრალო მისი ქმარი, სულ უკან დაყვება შორი-ახლო, როგორც უფასო რამ დამატება. ვალიდა ყველგან მხიარულია, სადაც მისი ბაიყუში არ ყავს და ბაბომაც სწორეთ ამისთვის არ დაპატიჟა იგი „მეუღლითურთ“...

გაიტაცა, მოხიბლა ვალიდას უმანკო ჭიკჭიკმა ბაბოს სტუმრები. მათ სახეზე თვალები იცინიან, ტუჩები ღიმილს ვერ ფარავენ, ყველა მას უცქერის.

ვალიდა-კი, ეს საერთო ყურადღების დიდი საგანი, ფეხზე ფეხ გადადგმული ზის თავისუფლათ რბილ სავარძელში. აბრეშუმის თეთრი კაბა შუა წვივებამდი-ღა ფარავს სანთელივით ჩამოქნილ მის ფეხებს. და, თითქო განგებო, უფრო მიმზიდველათ, უფრო საოცნებოთ ხდის ფეხის იმ დამალულ ნაწილს, რომელზედაც პოეტს უთქვამს:

— სიმბოლოა უცნაურიო!

ვალიდას მოხდენილ ფეხების ეშხით თავბრუხვეული მოხუცი ხუმარა ქაიხოსრო უეცრათ დადინჯდა, შეპარვით გაიყურება დროთა გრუნვისგან აკრძალულ სამოთხისკენ და გულდაკოდილი უიმედოთ ნატრობს და ნატრობს:

— ვაი, მაგ ფეხები ამ გულზე დამცა და, თუ მომკლავს, შენი ჭირი წამიღიაო!..

ამ დროს დიდ ცაცხვის ჩრდილქვეშ სასადილო სუფრა უკვე გაეშალათ. ყველაფერი მზათ იყო. ბაბო წამოდგა, ხალისიანი ნაზი ხმით რაღაც წინადადება მიცა თვის სტუმრებს და შრიალ-შრიალით ეზოსკენ წაუძღვა...

Нѣтъ, князь, низачто! სუფრის თავში თქვენ დაბძანდით!

შეეპატიჟა გაკოტრებული ალდუშაჰილი მდიდარ ამირეჯიბს ისეთი კილოთი, თითქო ეუბნებოდა:

— ჰეი, ჰეი, ერთ დროს არავის ვეკითხებოდი აქ ჯდომასო!

ვახტანგ ამირეჯიბიც, ალბათ, მიხვდა მო-

ხუც აბდუშაჰილის ჯამბაზობას და მეფისტოფელის ღიმილით თხოვა:

— დაბძანდით, დაბძანდით, კნიაზ! თქვენი ადგილიაო.

ლევანი გაჯიუტდა. ვახტანგი მტკიცეთ იცავდა თვისას და მოხუცმა აბდუშაჰილმა სუსტი წინააღმდეგობის შემდეგ, როგორც იქნა, დაიკავა სადაო ადგილი.

როცა ყველანი დასხდენ, ცოტათი დანაყრდენ და ცოტა ღვინოც დალიეს. ვახტანგ ამირეჯიბმა თამადას ამორჩევის სურვილი გამოთქვა და ამ საპატიო თანამდებობის ამსრულებლათ იქვე დაასახელა ლევანი.

აწკრიალდა ჭიქები.

— მოგვილოცავს ტოლუმბაშობა!

— გაუმარჯოს ჩვენს თამადას, კნიაზ ლევანს!

— მის ბრწყინვალებას ვულოცავთ ბრწყინვალე მოვალეობას!

ახმაურდენ სუფრის გარშემო.

ლევანი ერთი წუთით შეფიქრიანდა...

მგონი, თავისებურ უარის თქმას აპირობდა, მარა მალე წამოიჭრა ზეზე, გულზე ხელები დაიკრიფა და ნელის თავდახრით მადლობა გადიხადა „ასეთ პატივისცემისთვის“.

გაჩაღდა სადღეგძელოები.

თამადამ მოლოდინს გადააჭარბა. აწევდა ჭიქას, თუ არა, ყურთა სმენას ატკბობდა ფერად-ფერადი სიტყვები. რა გნებავთ, რო შიგ არ იყო:

„ჟუჟუნა თვალები“, „თეთრი სპეტაკი წვერები“, „რაინდული სიყვარული“, „მწვანე ველმიდამო“, „მამულის ტრფიალება“, „სამშობლოს მტრები“ და... კიდევ ბევრი ამისთანები.

ლამაზ ვალიდას სადღეგძელოში მაინც ლევანმა ისეთი მამულიშვილური აზრები გამოთქვა, რომ ერთ მოხუც პატრიოტს თმა ყალყზე აუყენა. ეს სადღეგძელო თამადამ ასე დაიწყო:

— ბატონებო, ჩვენი ისტორია ქართველმა ქალებმა შექმნეს! საკმაოა გაიხსენოთ მშვიდი და ნარნარი თამარი, წმიდა ნინო, წამებული ქეთევანი და სხვანი და სხვანი, რო ღირსეულათ დავაფასოთ ქართველ ქალების ღვაწლი მამულის წინაშე.

— ვინ გვამხნევებდა მტერთან ბრძოლის დროს?

მჭექარე ხმით იკითხა ლ. აბდუშაჰილმა.

ქართველი ქალი!

ვინ მოგვცა ქრისტეს სჯული?

ქართველმა ქალმა!

ვისი შვილი იყო დავით აღმაშენებელი?

ქართველი ქალის!..

დიახ, ბატონებო, შეუძლებელია ქართველი ქალის დაფასება. თვით დიდებულ შოთას ქალის შვენებამ დააწერინა უკვდავი „ვეფხის ტყაოსანი“. დიახ, შვენებამ! და, თუმცა დაკარგული გვაქვს ბედი, ეს ცით მონაბერი შვენიერება დღემდი შერჩენია ქართველ ქალს. თქვენ-კი, კნეინა ვალიდა, როგორც ამ შვენების განსახიერება, გვეედრებით ნუ დაახშობთ თქვენს ღვთიურ ნიჭს, მხის სხივებათ მოევლინეთ დაჩაგრულ სამშობლოს არე-მარეს, რო მაგ სილამაზით მოხიბლული ტარიელი კვლავ გარბოდეს, ვითარცა გმირი ცხრა კლიტულ'მი დამწყვდეულ ნესტან დარეჯანის გამოსახსნელათ.

ასეთი მოქარგული სიტყვებით დაასრულა ლევან აბდუშაჰილმა ვალიდას სადღეგრძელო და მთელის სიმძიმით ნელა, ნელა დაეშვა სავარძელზე.

გაისმა ტაშის ხმა.

— გაუმარჯოს მამულს, გაუმარჯოს ქართველ ქალებსო —

მჭექარე ხმით დაიქუხა ჯიბილო ვახვახოვმა, ამ პატრიოტულის გრძნობით გაჟღენთილმა მოხუცებულმა.

— მრავალ ჟამიერ ვალიდას! იცოცხლეთ, ჩვენო ვალიდა! გაუმარჯოს მამულს! გაიმეორა სხვებმა.

— მრა

თქვენიიი... თქვენი სი... ცო.. ცხლეეე!

აწკრიალდა ჭიქები, აიწია თავები და შვიდი წლის ღვინო, ერთ—დიდ ქვევრიდან ამოღებული, რაკრაკით გადაეშვა სტუმრების პატარა ქვევრებში.

ივ. ი—ანი.

(შემდეგი იქნება).

საალდგომო კაბა.

(მოთხრობა).

II.

მართა გაიტაცა ფიქრებმა. მართალია, ასე იყო, თუ ისე, მან ქმრისგან ნებართვა აიღო, რო ვალის აღებაში ისე მოქცეულიყო, როგორც მას თვითონ სურდა. მარა საქმე ის იყო, როგორ მოეხერხებია ეს? ის ჩინებულათ გძნობდა, რო ვალის აღება და ისიც ისეთი საქმისთვის, რისთვისაც მას ის სჭიროდა, არც ადვილი იყო. აქ სულ სხვანაირი მოხერხება იყო საჭირო, რაც მართას ვერ მოდიოდა ჭკუაში... ბოლოს, გადაწყვიტა პირდაპირ ემოქმედნა და ამ აზრით დილიდან დაიწყო მზადება: ერთ მეზობლის ქალს შალის კაბა თხოვა, მეორეს — ფეხსაცმლები, მესამეს — თავსახურავი, რო თვალსაჩინოთ გამოწყობილიყო და ღარიბულათ ჩაცმულ-დახურული არ შეფეთებოდა ვაჭარს მთხოვნელათ. მართა მოერთო გატეხილი პატარა სარკის წინ, გაისწორა თავსახურავი და გასწია სოფლის დუქნებისკენ... სოფლის სასამართლოს გვერდით რამდენიმე დუქანი იყო ჩამწკრივებული, სადაც ორ-სამ ადგილას მანუფაქტურის საქონლითაც ვაჭრობდენ.—ის, პირველათ შაფათა ურიას ეწვია, დაელრიჯა და თხოვა ნისიათ მიეცა საჭირო შალ-აბრეშუმობა. მარა ურიამ ,გაიგო თუ არა, რომ ის არა სახუმრო ფულის ღირებულს თხოულობდა, გადაჭრით უარი გამოუცხადა. მართამ ბევრი იტრიალა ურიის წინ, მოკლე ვადა გადაუჭრა და რაებს არ დაპირდა, მარა ურია სულ უარზე იდგა და, ბოლოს, ორაზროვანი სალანძღავი სიტყვებით დაუწყო მასხრობა და მოიშორა თავიდან ეს ახირებული მთხოვნელი... მეტი გზა არ იყო, ის იაკობას წინ უნდა გამოცხადებულიყო. მარა საქმე ის იყო, რო მასთან ვაჭრობისა ეშინოდა, რადგანაც იაკობამ ხელდახელი მოტყუება იცოდა და არც სხვანაირათ დაინდობდა კაცს.

მართლაც რომ, იაკობა არა ღირსეული კაცი იყო, ქურდისა და ბაცაცის სახელი ქონდა დავარდნილი და არც დაცემა-ყაჩაღობაზე იტყოდა უარს, თუ დრო და შემთხვევა ხელს მოუწყობდა... ვაჭრობისთვის სულ სხვა მიზნით მოეკიდა ხელი, რაც ნამდვილ მის ხელობას სრულიათაც არ შეადგენდა. სავაჭრო პატენტის ქვეშ, ის არხეინათ ეწეოდა თვის დამალულ ხელობას, რაშიდაც ის ჩინებულათ იყო გამოწაფული.

ეს კარგათ იცოდა მართამ, მარა ის იმდენათ გაიტაცა სურვილებმა საწადლის მისაღწევათ, რო ძალა-უნებურათ მიადგა იაკობას კარზე და თხოვა, ნისიათ მიეცა საქონელი. იაკობამაც უარი გამოუცხადა: „არ შემიძლია, — უთხრა მან, —ბევრი გავანისიე და ბევრი დამეკარგა; მე სულ ნაღდ ფულს ვაძლევ საქონელში და ის, რო სოფელს დოურიგო, ხეირს არ მაძლევსო“.— მარა მართა არ შორდებოდა. ის სასოწარკვეთილებით თხოულობდა, ყელი არ გამოეჭრა მისი ძღაბისთვის საალდგომოთ, სამაგიეროთ პირდებოდა ვადაზე ფულის მიცემას და კერძო პატივცემას. იაკობა ჩაფიქრდა და, დიდი ყოყმანის შემდეგ, სულ სხვა გადაწყვეტილებას დაადგა.

— კი, მარა, რა პირობით აპირობ შენ საქონლის წაღებას?—ეშმაკურათ შეეკითხა ის მართას.

— რავალი პირობაც შენ გინდა, იმისთანა გამოშმართავი,—ნდობით უთხრა მართამ.

— მე იმისანა პირობა მინდა, რო ფული არ დამეკარგოს.

— ფული რავა დაგეკარგება, შე კაცო, ჩვენთან; ჩვენ ღარიბი ვართ, თვარა პირი გოუტეხელი გვაქ.

— წაღების დროს არცერთი არ უნობს დაგეკარგებაო, მარა, როცა ჩემსას მევითხოვ, მაშვინ სხვას მეუმბებიან.

— შენი ძმობის მადლს ვფიცავ, რომ ეს ჩვენგან არ შეიძლება... თამასუქს მოგცემ, რავალსაც შენ ინებებ.

— თამასუქი რას მეხმარება? იმის ხლაფოთის თავი არა მაქ.

— აბა, შენ რავაც გინდოდეს, ისე გამეიწყვე საქმე.

— ეტყობა, რო შენ ცოტაც არ გინდა; შენ რომ ანგარიშობ, ამას კაი ორმოცი მანათი მოუნდება და, რახან ასეა საქმე... ჰო უნდა დამიგირაო რამე.

— რა უნდა დაგიგირაო, იაკობა, როცა არაფერი მაქვს, თვარა არ ვიტყვი ვარს.

— ხარები... ხარები დამიგირავე და წეიღე, რამდენისაც გინდა.

— ხარები! —გაიოცა მართამ.

— ჰო, რას გიკვირს? აკი თქვი, ვარს არ ვიტყვო: გყავს ხარები და დამიგირავე, თუ არა და შვიდობა შენი.

მართა ჩაფიქრდა. მართალია, გირავნობის წეს-რიგი მასაც ესმოდა და ხშირადაც დაუგირავებია მიწა, თუ სხვა რამე, მარა ხარების დაგირავება არ გაუგონია და არც ის იცოდა, თუ როგორ უნდა მოხერხებულიყო ეს.

— კი, მარა ხარების დაგირავება რანაირათ მოხდება, იაკობა? შეეკითხა, დაბოლოს, საღერღელ აშლილი ქალი ვაჭარს.

— სულ უბრალოთ; ისე, რავაც სხვა საქონელს აგირავებენ.

— მაშინ ხარები ხომ შენ უნდა წეიყვანო ამ თავითვე?

— არა, ეს არა; ხარებს კი არ გამოგართმევ, ხელწერილს ჩამოვართმევ ტუტუს: თუ ვადაზე ფული ვერ მომცა, ხარები წამოვიყვანო... მარა ერთი რამე უნდა გთხოვო და იმიზა, არც შენ უნდა გამიტეხო ხათრი: იქითა კვირეში ორი დღით უნდა მათხოვო ხარები, ორიოდე ქცევა მიწა მაქვს მოსახნელი და, როცა გავათავებ, ისევლე წააყვანიე.

— ასე თუ იქნება კიდევ არა უშავს,— უთხრა ცოტა იმედმოცემულმა მართამ.

— ეს ასე იქნება, მარა, თუ ყოყმანობ, უკეთესია სხვაგან მონახო საშვალება.

— კი, შენი ჭირიმე —კი; თანახმა ვარ; ვადაზე მოგართმევ ფულს.

— ჰო და ერთი თავისუფალ დროს მოდი, თან მოიყვანე ტუტუც, ხელწერილს მზათ დაგახვედრებ, ხელი მომიწეროს და წეიღე, რაც გინდოდეს.

— ტუტუმ რომ არ იცის წერა-კითხვა!

— მის სახელ და გვარს მოაწერს და კითხვა, რა საჭიროა?

— აბა, ასე იაკობა; დაიმედებული ვარ, რომ ეს ასე იქნება.

— უეჭველათ, დაასკვნა იაკობამ.

ამ პირობით მართა კმაყოფილი დარჩა, მადლობა გამოუცხადა თვის კეთილის მყოფელს, გამოეშვიდობა და გამობრუნდა. კარგა დაღამებული იყო, როცა მან შინ მოაწია.

ტუტუმ რომ ეს ამბავი გაიგონა, არც აცივა, არც აცხელა; გული აუკანკალდა და ენა ჩაუარდა... „ხარები, ჩემი გულია“ და „სულია“*) უნდა დავაგირაო ძღაბის კაბისთვის?... ღმერთო, რათ შემასწარი ამ დღეს? რათ მომიყვანე ამ დღემდი?„ —ფიქრობდა ის და მწარე ნაღველი აწვებოდა გულზე, თუმცა მწუხარების გამყლავნებას ვერ ბედავდა... დიდიხნის შინაგანი მღელვარების შემდეგ, მან მძიმეთ წამოიწია, წამოდგა და გაემართა ლოგინისკენ დასაწოლათ. დაწვა, მარა სად იყო ძილი? მის გულში საზარელი ქარიშხალი მძვინვარებდა. მას წარმოდგენილი ქონდა, რო ძლივს გამოსტაცა თავი სიმშილს და, ახლა, ხელახლათ უბრუნდებოდა მას. მარა აქამდის, თუ სიმშილი აქით მოიწეოდა — ტუტუსკენ, ახლა ტუტუ მიიწეოდა სიმშილისკენ... ახირებული საქმე ხომ არ იყო? გაცხელებული მუშაობის დროს, ხარებს უღლიდან სტაცებდენ მუშას!... გაებედნა და ეთქვა: — „არ შეიძლება, არავის დავანებებ ხარებსო“ - მაშინ

*) „გულია“ და „სულია“ ხარების სახელია.

ავტ.

ხომ უარესი დღე დაადგებოდა საბრალოს და საქმეს მაინც არა დააბრკოლებდა-რა. გადაწყვეტილი საქმე იყო, რა-კი ვადაზე ფულის შოვნის იმედი არ ქონდა ტუტუს, ან წინდაწინ უნდა გაეყიდა ხარები და იაკობა უნდა დაეკმაყოფილებია, ან იაკობასთვის უნდა შეენარჩუნებია ისინი, პირობის ძალით. ამ სახით, ასე თუ ისე, თავის საყვარელ ხარებს მაინც უნდა გამომშვიდობებოდა... მართალია, რაღაც იმედი გაუზიარა მას ცოლმა, რომ ის აბრეშუმს მოიწევდა, და, თუ გაჭირდებოდა, ამ საშვალებით დააკმაყოფილებდა ვაჭარს, მარა ეს იმედიც იმგვარივე იყო, როგორიც სიმიდის მოწევით ებადებოდა ტუტუს.

ერთ დილას, ტუტუ და მისი ცოლშვილი იაკობას დუქანში ვაჭრობდენ. იაკობა დაფაცურებული იყო, თითქოს ეს გემრიელი ლუკმა მადიანათ უნდა მიირთვასო და ასნაირათ აქებდა და ადიდებდა საქონელს:

— „ეს შვენიერი შალია, შენ ნუ მოგიკვდები, დიაგონალის შალია. ახლა ესაა მოდაში? იფ-იფ-იფ! შეხედე-შეხედე, შორიდან შეხედე; ძვირფასია, ძვირფასი, თუ ფასში მოვრიგდით.—ეს სულ ახალ-მოდის შალია, უჩიტლის ცოლს მივყიდე გუშინ, ორ-ნახევარი მანათი დავაწყობიე არშინში... კიდევ არის შალები: აი ფერადი, შავი, წითელი... ამას შეხედე—ამას, რა აბრეშუმის ლენტები მიუყობა იის ფერ მიწაზე!... საიუბკე აბრეშუმი, თუ გინდათ, შეხედეთ, რამდენ ნაირი მაქვს! რომელიც გინდათ, ეირჩიეთ, მარა იცით, ერთი მაქვს თლათ ძვირფასი, თუ ფასს გეიმეტებთ, ნაჩალიკის ცოლს ეკადრება სწორეთ: ბიის ფერია და ცისარტყელასავით ფერადი ფართე ზოლები მოუყობა; აი, შეხედე, რა ტყავივით მაგარია; ხელი მოკიდე—ხელი; ამის შრიალს ნახევარ ვერსზე გეიგონებს კაცი, ამას შავი კრუეოვო მოუხდება—არშინი ექვს შაურიანი... სხვა, რაც გინდათ, ყველაფერი მაქვს: სარუბაშქე აბრეშუმები და ქისიები, საბილიო პრიკლები, ახალ-მოდის ტუფლები, თავ სახურავები და, რაც საჭიროა, ყველაფერი მაქვს; ოღონდ ფასში მოვრიგდეთ და ისეთ საქონელს გაგატანთ, მე და ჩემმა ღმერთმა, რომ აღდგომას ამგვარები არავის ეცვას“.

ტუტუ ერთ კუთხეში მიმჯდარიყო დაღონებული და დაღვრემილი. ის გამწარებულათ ეწეოდა ჩიბუხს, თუთუნის ბოლში გახვეულიყო და გულის ძგერით შეყურებდა ამ უთავბოლო ვაჭრობას. მართა და ცირუ-კი ბეჯითად ათვალიერებდენ საქონელს, გადადიოდენ ერთიდან მეორეზე, ზოგს რაღაც წუნს სდებდენ, ზოგი მოსწონდათ და ზოგისა-კი ფასიც ემეტებოდათ. მარა ბეჯითად ვაჭრობისა ეშინოდათ, რომ იაკობას ხელ-ცალიერი არ გაესტუმრებია ეს უფულოთ შემობრძანებული მუშტრები, რომელთაც საქონლის, არც ღირსებისა გაეგებოდათ რა, არც ღირებულობისა. ერთხელ კიდეც ჩაულაპარა ცირუმ ყურში მართას: — „ამდონს, რას ევაჭრები, რა ხელათ ფულს აძლევ, თუ იცი! გადააჭრევინე და ის იქნებაო“, რის პასუხათ მრისხანე თვალები გადაუბრიალა დედამ შვილს; მარა არც ერთი ესენი საჭირო არ იყო იაკობასთვის; მას ისედაც შვენიერათ ჩაეხედა თავის მუშტრების გულში და გადაწყვეტილიც ქონდა, რომ ამ შემთხვევით დიდათ ესარგებლნა... რითაც იყო, ვაჭრობაც გათავდა. იაკობამ, თვის პატიოსნების დასამტკიცებლათ ერთი ადლი ჩითი გადაუჭრა მუშტრებს საჩუქრათ. გამოუხვია იმაში ორმოც და ხუთი მანათის ნავაჭრი და გაისტუმრა.

სამში მხოლოთ ერთი იტანჯებოდა და ეს იყო ტუტუ. მას არა თუ ტანჯავდა ის, რომ უშველებელი ვალი დაიდვა, ზნეობრივათ ტანჯავდა ის გარემოებაც, მას რცხვენოდა არა თუ ხალხის, თვის საკუთარი თავისაც-კი, როღარიბ-ღატაკმა, რომელსაც დანარჩენი შვილები პერანგის ამარა დაუდიოდა და, რომელიც ხშირათ კარს მისდგომია მეზობლებს ლუკმა მჭადისთვის და შეხვეწია: — „მიშველეთ, ხელი მომიმართეთ, მასესხეთ სიმიდი და ბაღნების ცოდოს ნუ დამადებთო“, — დღეს ძვირფას ტანისამოსს უკერავდა ქალიშვილს, თუმც მისი ქონებრივი მდგომარეობა არაფრით წინ არ წასულიყო. ეს უკანასკელი მოსაზრება

უფრო უკლავდა გულს, ვიდრე პირველი, თუმც არც პირველი იყო მაზე ნაკლები და ორივე ერთად დედამიწასთან ასწორებდა საბრალო ადამიანს... სამაგიეროთ, დედა შვილი მეტათ კმაყოფილნი მოდიოდენ და, რამ დენადაც ტუტუს სურდა დაემალა მათი ნავაჭრი, არ გამოეჩინა სირცხვილის გამო, ორი იმდენამდის ცოლ-შვილს უნდოდა გამოეჩინა, ქვეყნისთვის ეჩვენებია, დაეხარბებია მეზობლებისთვის და მითი ეამაყნათ. მართლაც და, რათ დაიმალებოდა ის, რაც დასამალავათ არ მიაჩდათ?.. მთელი ორი სამი დღე მოდიოდენ მეზობლის ქალები ტუტუს სახლში, რომ ენახათ მართა და ცირუს ნავაჭრი; დედა და შვილი-კი კმაყოფილებით უხვდებოდენ სტუმრებს და თავი მოწონდათ კიდეც, რო ყურათღება მიექციეს; ისინი შლიდენ ნავაჭრს, აწყობდენ ცალ-ცალკე, ასინჯვინებდენ მნახველებს და სწორეთ იმ ქება დიდებით იხსენიებდენ თავიანთ ქონებას, როგორი ქება-დიდებითაც ის იაკობა ვაჭარმა მათ მიასაღა. მეზობლის ქალებს ძალიან მოეწონათ ყველაფერი და, უკეთ რო ვთქვათ, შეეხარბათ კიდეც. ისინი არ მალავდენ თავიანთ ქმრების სიძუნწეს და ავათაც იხსენიებდენ მათ, რადგანაც ამგვარი რამეები ჯერ იმათ არ ღირსებიათ... ამ ამბის გამო, ტუტუს მეზობლობაში ერთი აურზაური იდგა: ზოგისა ცოლი კაპასობდა დ ანჩხლობდა, ზოგისა იბუტებოდა და უსიამოვნებას ამზადებდა და ზოგი, რას და ზოგი რას არ ჩადიოდა, რადგანაც ღარიბი ტუტუს ოჯახი გაეხარებია საადგომოთ და ისინი-კი ამგვარ რამეს არ მოელოდენ.

არც მიხეილი კონწარიას სახლში იდგა კაი ამბავი. მისი ქალიშვილები გულდაწყვეტილნი წუწუნობდენ და უკმაყოფილებას უცხადებდენ მშობლების გულგრილობას, მათი გამოწყობის საქმეში.

— ღმერთო მომკალი და ვიყო! რაც რომ ერთათ მეეძევა ტუტუ კაკაჩიას, იმის ფასი, ან ერთი ჯიბიდან ამოყობა, ან მეორიდან მამაჩემს და იმ ბომბიო ძღაბს, რო უყიდია, იმის საღირელი ჩვენს ოჯახში ჯერ არაფელი შემოსულა. სიკვდილი რავა არ მირჩენია ამას, რო ტუტუას ცირუია აღდგომას გაწყობილი აბრეშუმის იუბკით, დიეგენის კაბით, აბრეშუმის რუბაშქით, მოქარგული თავსახურავით და მაღალქუსლიანი პოლისაფოშქით დაბრძანდებოდეს და მიხეილი კონწარიას ქალიშვილი უბრალოთ ჩაცმული დაჩანჩალობდეს!.. ვინ უნდა მეითმინოს აგი — ვინ? — ამბოდა უფროსი ქალიშვილი.

— ჰო და ის არ არის? გაჯინიანებულია მამაჩვენი! — „თავს ნუ ეიშვებთო; მე უკეთ ვიცი, როდის, რა გინდათო“... ბძანებს დიდი ამბით და ახლა შეხედოს ტუტუიას გოგოს! მალაღურივით გამოწყობილი გამობძანდება აღდგომა დილას და ჩვენ-კი ყურებ-ჩამოყრილები ვიტანჯებით. — დასტური მიცა უნცროსმა.

— მაგას ვერ მევითმენ წორებით! თავი არ მინდა ცოცხალი, თუ აღდგომას ცირუას უარესათ გამოვჩთი!... ვარგებულა საწყალი მართაია, რო დაუფაცურებია ქმარი... ორ დღესაა სიცოცხლე. „თვალი ჭამს, თვალი სვამსო“ — იტყვიან. თუ ამ ტანჯვაში ჩავძაღლდები, მერე, რათ მინდა კაბა, ან რამე?

— წორეთ კოჩაღი ქალია მართაია; ემისანა უნდა ქალი, რასაც უბძანებს იმას აქნევინებს ქმარს. ცხვირიდან ძმარს ადენს უბედურს, რომ ერთი ვარი უთხრას რამეში... დედა ჩვენი საწყალობელი ადამიანია; რაც მამას სურს, იგი უნდა იმასაც და იმიზაა, რო გახარებული ვყავართ.

— ამის მოთმენა წორებით არ შემიძლია; რაც გინდა დემემართოს, მაინც არ შემიძლია... ამაღამვე გამოუცხადებ დედას, რომ უნდათ, თუ არა, უთუოდ უნდა გამომაწყონ ცირუიას უკეთესათ... თუ არა და თელ ოჯახს შევაწუხებ, არც არსათ გარავალ და ცინცხალ აღდგომა დღეს ტირილის მეტს არაფელს გავაკეთებ... ოჯახს შვვაწუხებ და თავსაც შევიწუხებ.

— მეც აგრე ვიზამ წორეთ.

— ჰო, შენ რაო ახლა?

— ჰო — მე რა, — რა ყოფილა? მე ვინ ვარ, თუ იცი?

--- ვინ ხარ და უნცროსი ხარ; ჯერ მე უნდა გამოვეწყო უფროსი და შენ მერეც მოესწრები.

--- როის მოვესწრები, ქალო—როის?— თვალ-ცრემლიანმა, კითხა უნცროსმა.

— როის და მერე.

— მერე, რა ყოფილა!... უნცროსი რაიაო... ერთი წლით ვარ... შენზე... უნცროსი... მე ყველა მიგდებს... ყველა ჩემი ბატონია... ახლა... ახლა ამანაც დამიწყო... შენ არ გამეეწყოვო... თავს მევიკლავ—ღმერთმანი—თავს... დაიწყო ქვითინი უნცროსმა და ცხარე ცრემლები გადმოუშვა თვალთაგან.

ვინ იცის, სანამდი გაგძელდებოდა მათი დავა—ჭირვეულება, რო ჭისკრის ჭრიალს არ გამოეფხიზლებია დები... მიხეილი დინჯათ მოდიოდა შინისკენ, რამაც დააფრთხო და სხვა და სხვა კუთხით გაისტუმრა უკმაყოფილო პირები.

მიხეილ კონწარია მართლაც რო შეძლებული გლეხ-კაცი იყო სოფლის პირობაზე: მიწა-წყალი საკმაოთ ქონდა, კაი ოდა-სახლი ედგა და ყოველისფრით გამოწყობილი ოჯახის პატრონი იყო... თუ ვინმე უცხო კაცი, ან მოსამსახურე პირი ესტუმრებოდა სოფელს, ბინა უსათუოდ მიხეილის სახლში უნდა ქონოდა, რადგანაც სწორეთ საკადრისათ მიიღებდა ის... ახლაც იყო მის სახლში სტუმარი—სანდრო სახათია, შუა-ხნის კაცი, ცოტა ნასწავლი, მარა უფრო გავითარებული და ცხოვრებაში გამოცდილი. მიხეილს სანდრო „მოძრაობის“ დროს გაეცნო და ნათესაური კავშირით დაახლოვებოდა—შვილის ნაცვლათ მოეგო და მაზე დაყენებული თმა „მოეგდებინებია“—*). სანდრო მეტათ ჩინებული კაცი იყო და კარგადაც ესმოდა „მოძრაობის“ დროის სხვადასხვა პარტიების პროგრამების აზრი, რომლებშიაც ზოგი ერთისა მოწონდა და ზოგი მეორისა, მარა არც ერთ „პარტიაში“ მონაწილეობას არ ღებულობდა. სანდროს არ მოწონდა ზოგიერთი ს. დ. წრეში მომუშავე პროპაგანდისტების სიტყვა-მოძღვრება და ხშირათ იტყოდა: „ეს ჩვენი პროპაგანდისტები ისეთს მიმართულებას ადგანან, რო სხვა არა იყოსრა, არ შეიძლება თვით ხალხის წყრომა აიცდინონო.“ სამაგიეროთ, არც სანდრო მოსწონდათ პროპაგანდისტებს და მარჯვე დროს ეძებდენ მის დასაღუპავათ, თუმც აშკარათ ვერას უბედავდენ, რადგანაც ხალხს უზომოთ უყვარდა და იცავდა კიდეც სანდროს. სანდრო წრფელის სინდისით გამოდიოდა სამოღვაწეოთ, მას არ აწუხებდა კერძო ინტერესები, ის ყოველთვის საზოგადო ინტერესებით იყო გამსჭავლული და მომეტებულათ ს. დემოკრატიული პროგრამის ეკონომიურ ნაწილს აქცევდა ხალხის ყურათღებას... ის აშკარათ ამბობდა და ცოცხალი მაგალითებითაც ამტკიცებდა, რო რომელ საქმეშიაც შური, პირადი ინტერესები და ვეცხლის მოყვარეობა გაერევა, იმ საქმის ბოლო კეთილი არ იქნება და ასეთი მიმართულება ხალხსაც დაღუპავსო... რაც გინდ აჯანყებულ—აბობოქრებულ ხალხში გარეულიყო, რაც ხშირათ ხდებოდა ხოლმე კერძო და საზოგადო საქმეების გარჩევის დროს, მისი მიუდგომელი და საზრიანი მსჯელობა ნათელს ფენდა საკითხს და ხალხს ამშვიდებდა, რის გამო მას, ნასწავლის გარდა, ჭკვიანის სახელიც დაუვარდა ხალხში.

მიხეილი და სანდრო რაღაცაზე ლაპარაკობდენ, როცა მიხეილის ცოლმა მოიტანა ამბავი ჩვენგან კარგათ ცნობილი საქმის შესახებ. მიხეილს ეს უზომოთ ეწყინა; ის უცბათ აენთო და მოინდომა უკმაყოფილებისგან ოჯახის დაცვა, მარა შეაჩერა სანდრომ.—„მოითმინე,—დინჯათ უთხრა მან,,— ახლა შენ გაფიცხებული ხარ; ზომაზე მეტათ გაწყრები და, შეიძლება ისეთს საშვალებას მიმართო, რაც ოჯახისთვის არ ვარგა; გაიაროს ჯერ პირველმა გულისწყრომამ და, რასაც მეორეთ მოისაზრებ, ის უფრო სასარგებლო იქნება.“

— რავა! ღმერთო მომკალი და ვიყო! რაც ტუტუ კაკაჩიას მთელ ოჯახს უნდება წელიწადში, იმდონი მე ღორების სარჩოთ არ

*) სამეგრელოში ახლაც კაი პატივდებაშია, მგლოვიარობის დროს, თმა და წვერის დაყენება და, ვისაც თმას ,,მოაგდებინებენ'', ის მიცვალებულის ადგილზე ითვლება.

მეყოფა და იმის ოჯახმა უნდა ასწავლოს ჩემს ოჯახს, როის, რა იყიდოს?

— გეყოფა მიხეილ სიფიცხე. იმ კაცს შენ ნუ სცინი სიღარიბეს; სიღარიბე არავის უნდა დაცინო და არც სიმდიდრისთვის უნდა გაეგო ვინმეს ფეხ-ქვეშ... ქალიშვილები რო განაწყენებულან, ეს ახალგაზდური გატაცების საქმეა... მორგონე შენი ახალგაზდობაც და ასეთ შემთხვევაში, რას შეეძლო შენი დამშვიდება, ის ზომები იხმარე შენი ოჯახის დასამშვიდებლათაც.—ტკბილათ შენიშნა მიხეილს სანდრომ.

— რავა! მე არ ვყოფილვარ ახალგაზდა?

— ყოფილხარ და იმას გეუბნები მეც. მარა ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. ახლა სხვა რამე მსურს გითხრა და ცოტა ხანს ყური მათხოვე. ქალიშვილებსაც დაუძახოთ... აი, ისინიც აგერ მოდიან და ყურს დაგვიგდებენ... ჩვენი ხალხი ამბობს:—განაგრძო სანდრომ,—„აღდგომამ შობას გადმოძახაო:—"ჰატ, შე მემძორეო"*), შობამ გასძახაო:—„ჰატ, შე მეჭინჭეო".—ეს თქმულება ხალხის ცხოვრებიდან არის აღებული. მართლაც, არ იქნება ისეთი ოჯახი სამეგრელოში, რომელიც საშობოთ ღორს არ ასუქებდეს. დიდი და პატარა აღტაცებით არ მოელოდეს შობის გათენებას!.. ვინ დაეძებს ახალ ტანისამოსს და ძვირფას სამკაულებს, რომლითაც მეგრელს ძალიან უყვარს თავის მოწონება!.. სამაგიეროთ, საღდგომოთ სულ სხვა სურათი იხატება: არ იქნება ვინმე ისეთი ღარიბი, რომელმაც ახალი რამე არ ჩაიცვას... განსაკუთრებით, მანდილოსნები და ქალიშვილები დიდს ფაცაფუცში არიან; მათი სურვილი ისაა, რომ ერთი მეორეს გადააჯობონ ჩაცმა-დახურვაში...

— მერე კაია ეს?—გააწყვეტია სიტყვა მიხეილმა;—კაია, რო გაჭირვებულ ტუტუს ორმოცდა ხუთი მანათის შალ-აბრეშუმობა უყიდია და ხარები დაუგირავებია?.. ხვალ-ზეგ მე მომადგება და დემეღრიჯება: —„სიმიდი მასესხე, ბაღნებს სიმშილით ნუ მომიკლავო".—

*) მეხორცე, მესისხლე.

ჰაი, ერთს ვნახავდე, საყვარელო, რავა ვიცხონებ მამის სულს!

— მოითმინე, კაი რავაა?.. მარა მე ვამბობ ხალხის ზნე-ჩვეულებაზე. ხალხს თითო ჩვეულება უნდა ქონდეს და აქვს კიდეც. ამგვარი ზნე-ჩვეულება დღემდის ვნებას არ იძლეოდა. ქალები რაღაც-რაღაცეებზე თითონ შოულობდენ თითო-ოროლა გროშს და არა თუ ეს ყოფნიდათ, ქმარ-შვილსაც მოსავდენ თავიანთი შრომით და ეს ძალიან კაი საქმეა. ნაშრომის რიგიანათ მოხმარება, თუ იცი, აღდგომა აღდგომათ იყოს და ჩვეულება ჩვეულებათ... მარა უბედურება ისაა, რომ ამ ჩვეულებამაც რაღაც სხვანაირათ შეისხა ახლა ფრთები; თვითცნობიერება დაიკარგა და რაღაც შეუსაბამო აზრი დატრიალდა ხალხში... ეს ამბავი ტუტუს ცოლ-შვილს მოვაყოლეთ; ახლა იმათ არ გონიათ, რომ აღდგომა მარტო მათთვის არ თენდება!—დალოცვილები! გაუგონიათ, იცვამენო და სახლისთვის საძირკველი გამოუნგრევიათ, ოჯახი დაუქცევიათ და კაბა უყიდიათ!.. ამას მართა იზამდა, მისი ურცხვი თავხედობის ბრალი იქნებოდა ეს, მარა ინანებს ბოლოს... ოხ! რამდენი ოჯახი ამოწყვეტილა ქალების უთავ-ბოლობით; რამდენი ოჯახი ტირის დღეს იმათი მიზეზით და, ვინ იცის, რამდენ კერას დაესხმის ცივი წყალი იმათის ბრალით?!—ესეც არ იყოს, სოფლის გოგო, რო ძვირფას კაბას ჩაიცვამს, მას შესაფერი ხელ-პირიც უნდა ქონდეს და, რო მზემ, ან ცეცხლმა არ დაწვას, სულ თვის დაცვაზე უნდა ფიქრობდეს; გარდა ამისა, საჭიროა, რომ ეს ტანისამოსი ხშირ-ხშირათ ჩაიცვას და აქვს დრო, თუ არა, მაინც გაიარგამოიაროს; ერთი სიტყვით, საჭიროა უქმობა, რასაც თან მოსდევს სხვადასხვა გვარათ აღმძვრელი ოცნებები, ამას-კი სიცილ-ტირილი და ხშირათ მთლად დაღუპვაც. მერე, ვისთვის უნდა შეინახოს სოფლის გოგომ ასე თავი? ერთ დღეს ხომ გლეხის ოჯახს უნდა მოხვდეს? კი—და სწორეთ აქ ამოდის ეკალი! ნუ გგონია, რო რამეში ივარგოს ასეთ თავნება ქალიშვილმა! დაიწყებს პრანჭვას, მანჭვას, ქმარ-შვილს თავს შეაძულებს და ოჯახს და-

ღუპავს და, თუ იმასაც მივაქცევთ ყურათღებას, რომ ასეთს ოჯახებში შვილები დედას ემსგავსებიან, ცხადათ წარმოგვიდგება მომავალი სურათი ჩვენი გადაგვარებისა... საცოდაო ტუტუ! რა შავი აღდგომა გაგითენებია, შე უბედურო!

— ტუტუ შესაბრალებელი არ არის; ახია იმაზე, რაც მოუვა! — გულგრილათ თქვა მიხეილმა, იმისანა მამული აქ ორ გლეხკაცსაც არ ქონდა; სუყველა მიყიდ-მოყიდა; ხარები ყავდა და ძროხები, სულ სავსე ოჯახი დოუტოვა მამამისმა და ახლა დედალიც არა ყავს — დედალიც. მიყო, ბატონო, ხელი და სულ იმ დედაკაცს შიაჭამა. სანამ რამე გააჩდათ, ყოველ დღე ლხინი ქონდათ; დეიარებოდენ, ბატონო, ყმაწვილები, იყო ერთი ცეკვა-თამაში და ორ-სამ წელში გაანიავეს ყველაფერი. მერე სხვისი მიწის თოხნაც-კი დეიწყო და ყოველწლობით სიმშილობა ქონდა ოჯახში. წროულს კაი საყანეები ეიღო და ყველა იმას უნობდა: „ტუტუმ მეიმართა ხელი და სიმშილი გადიგდოვო“ და ეს, თურმე, ამოსაწყვეტათ მიუჩენია ღმერთს: ხარები დოუგირავებია. ყველაფერი მინახავს და გამიგონია და ხარების დაგირავება ჩემს თვალებს არ უნახავს!.. ტუტუ უნდა მოკვდეს, ჩაძაღლდეს, სიმშილით უნდა ამოძვრეს სული!

— ნუ სჯი მაგრე მრისხანეთ, თუ ღმერთი გწამდეს, მიხეილ; ეს საცოდაობაა! ტუტუს და მის ოჯახს მეც კარგათ ვიცნობ; ტუტუსთანა ჭკუიანი კაცი ორიც არ ურევია მახლობლათ. მარა დაღუპა ცოლმა, სწორეთ იმან დაღუპა... ტუტუ პირდაპირ შესაბრალებელი კაცია და კიდეც უნდა შეიბრალოთ მეზობლებმა.

— ჰაი, იმდონი შეიბრალა ის მისმა სალოცავებმა და მისმა მიქელ-გაბრიელმა!.. რას ბძანებ, სანდრო, ტუტუ განა შესაბრალებელია?

— სწორეთ ახლა, თუ ოდესმე იყო შესაბრალებელი, ახლა მეტია.

— არა. მას ისე მიყავს თვისი საქმე, რომ იმის შებრალება ცოდვაა, ღვთის გმობაა...

— კაი, მარა შენ-კი გჯერა, რო ტუტუს უნდოდა ხარების დაგირავება? — გააწყვეტია სიტყვა სანდრომ.

— თუ არ უნდოდა, ვინ დოუკეტა პირი? ვინ ყავდა უფროსი?

— საქმეც ის არის, რომ უფროსი ყავდა და იმისთანა უფროსიც, რომელსაც არავითარი სამართალი არ გააჩნია...

— რაც მართალია — მართალია. ტუტუ ყოლიფერში მტყუანია. რავა ვერ გააკეთა თვის ოჯახში საქმე, რო ცოლ-შვილი დეემორჩილებია?

— ნუ გამიწყრები, ჩემო მიხეილ, და შენ მაგ საქმეში გამოცთილი არ ყოფილხარ... შენ რო ღვთისმოწყალება ცოლი შეგხვედრია და ნამდვილი მეუღლობა გაუწევია შენთვის, ამას შენ კაი კაცობას ნუ მიაწერ. ის ღმერთს ჭკუაგონებით დაუჯილდოვებია, მარა ამისთანა ასში ერთი გამოერევა — პატიოსანი ადამიანი... შენ ძალიან მოგწონს თავი. მარა ტუტუს მართასთანა ცოლი რო შეხვედროდა, სწორეთ შენც ტუტუს დღეში იქნებოდი ახლა.

— ისეთს დღეს დავაყენებდი საცოდავს, რო სულ დედის სული ეფიცა და ერთიც არ გადასულიყო ჩემს ნებას.

— ჰო და, რაც არ იცის კაცმა, ყოლიფერი ადვილი გონია!.. ერთ დროს მეც ასე მეგონა, რო თავიანი მამა-კაცი ცოლს არ გაუშვებს თავის ნებაზე-მეთქი, მარა დავრწმუნდი, რო შემცთარი ყოფილვარ. უხასიათო ქალის დამორჩილება ადვილი საქმე არ არის. თუ ადამიანი ცუდათ არის აღზდილი, მას უხასიათობა ჩვეულებათ გადაექცევა და ჩვეულებაზე ნათქვამია, რომ ის ადამიანისთვის მეორე ბუნება არისო... უხასიათო ცოლი ადვილათ დაიმორჩილებს პატიოსან ქმარს; კაცს ერთხელ არის მოწყინდება განუწყვეტელი უკმაყოფილება — უსიამოვნება და გულდაწყვეტილი იტყვის: „დალახვროს ღმერთმა, თავი მომაბეზრა ამდენმა ვაი-უბედურობამ, დეე, რაც მოხთება, — მოხთეს, ოღონდ ნაღველი არ გამისკდესო“. მარა ასეთი აზრი ერთხელაც არ მოუვა ზნე-წამხდარ ქალს. ის სულ იმის ცთაშია, როგორმე თავისი გაიყვანოს და ამ

აზრს ის ვერ ულალატებს, რაც გინდ ამით დამცირება მოელოდეს.

- სხვასთან ვერ გაუვა მართას ეს, მარა-კი იცის, რო ტუტუსთანა სუსტ კაცთან აქვს საქმე და იმიზაა, რო თავი ეიშვა.

— ამასთან ისიც იცის მან, რომ ოჯახსაც სასტიკათ მტრობს, რაც ადრე, თუ გვიან მასვე თვითონ დაატყდება თავზე. მარა, რატომ იმაზე არ ფიქრობს, რო თავის თავს მაინც არ უმტროს? არა, ეს სულ ერთია, სუსტია, თუ კოჩაღი ვინმე სხვა... უხასიათო ქალს მოსაზრება ღალატობს, ის ყოველ კეთილ აზრებს მტრობს, სდევნის; მას მხოლოთ ის სწამს, რაც თვითონ მოდის ჭკუაში და ვერც დააჯერებ, რომ ის სათაკილო ხასიათზე ადგას... ამაზე მეტის თქმა არც-კი ღირს, მარა, გატყობ, რო კიდევ არ გჯერა, იმიტომ რო მართას გვერდით არ ცხოვრობ და სწორეთ იმიტომ არ შედიხარ ტუტუს მდგომარეობაში.

--რა თქმა უნდა, კიდევ არა მგონია, რო ტუტუ დამნაშავე არ იყოს.

— ხო გითხარი: ეს იმიტომ არის, რო მართას გვერდით არ ცხოვრობ. რაც გინდ იძახონ: „თაფლი გემრიელიაო“, ამით შენ იმის გემოს ვერ იგრძნობ; თუ გინდა გემო ნახო, უნდა ჭამო...

მიხეილი ჩაფიქრდა. მას რაღაც უცნაურათ აეხილა თვალები და შეინანა კიდეც, რო დააყვედრა, თუ რამე სიკეთე მიეზღო ტუტუსთვის; მის გულში სიბრალულის გრძნობამაც იჩინა თავი ამ უჩინარი მტრისგან დაჩაგრული ადამიანისადმი... ის კარგა ხანს იყო ჩაფიქრებული და შემდეგ მიუბრუნდა ცოლს: — „აბა, დიასახლისო! მუსაიფი კაია. მარა, ხო იცი, რო ვახშამიც გვინდა“. — დიასახლისმა თვალით ანიშნა ქალიშვილებს და ისინიც შეუდგენ ვახშმის მზადებას.

კირილე წუთისოფელი.

(შემდეგი იქნება).

დაღუპული ოჯახი.

(დასასრული).

სალომე და მისი მეზობელი ქალი, რომლის შვილიც სალომეს შვილთან ერთათ მოეკლათ ომში, ხშირათ მიდიოდენ ერთმანეთთან და ცხელი ცრემლით ტიროდენ. იმათი მოთქმა მთელ სოფელს მოსვენებას არ აძლევდა. თუ ვინმე სალდათის სიკვდილს გაიგონებდენ, ერთ-ორს ძალიან შეკივლებდენ, მარა, მერე იტყოდენ: მარტო ჩვენ არა ვართ ასეთი უბედურებიო. ამ წყეულმა ომმა ჩვენი ქვეყნის ნახევარი დედები მაინც გააუბედურა და იმ უბედურებაში ჩვენც ურევივართო.

ერთ დღეს, საცოდავი სალომე გადმომჯდარიყო ეზოსთან შემაღლებულს ადგილზე და ცხარე ცრემლებს აფრქვევდა. მოთქვამდა თვის შვილს, უბედურ ოსიყმას ტიროდა. როცა გაათავა, ცრემლები ამოიწმინდა და ეზოსკენ ჩამოვიდა. ვიღაც სახლისკენ მომავალი, სალდათის ტანისამოსში გამოწყობილი დაინახა; ძაღლმა შეუყეფა, სალომე ძაღლს გაუჯავრდა: აქეთ, შე ოხერო, ვიღაც სალდათია, მგონია და ეგებ ჩემი შვილის ამბავი მითხრას, მიწას მაინც თუ მიაბარესო. სალდათი ეზოში ღიმილით შევიდა, სიამოვნებით სალომემ თვალი ვერ გაუჩერა, ქვითინი წასკდა. მოაგონდა შვილი. სალდათმა მხიარულათ შეუძახა: დედა! ჩემი მოსვლა ხომ არ გეწყინა, რო მოღრუბლულხარო?! სალომემ შეხედა, ოსიყმაიო, დაიძახა, შეკივლა და მეტი სიხარულით გული წაუვიდა. გოგია მივარდა და ძმა გადაკოცნა. მერე სალომესაც გული მოუბრუნდა და შვილს გადაეხვია, თან ტიროდა სიხარულის ცრემლებით და თან მხიარულობდა. მოიყარა მეზობლებმაც თავი და შეიქნა ერთი მოლოცვა; თან გაკვირვება და თან მხიარულება. ოსიყმა ამბობდა: ავათმყოფობის მიზეზით ორი თვით გამაჯავისუფლესო. მისი გამოტირილის ამბავს, ერთხანს უმალავდენ, მარა, მერე, თვითონ გაიგო და არ მოჩვენებია შესაშინებელ ამბათ, რადგან ომში მას ათასგვარი მკვდრები, ტანჯვა და გასაჭირი

ენახა. მისთვის არც ტირილი, არც სიკვდილი და არც დიდი რამ წვალება ახალი ამბავი არ იყო. ყველაფერში გამოიცადა სალდათობის დროს. ომში და ამხანაგებთან ყოფნას, ისე შეეჩვია, რომ ერთი თვის მერე კიდევაც მოწყინდა და ვადის გასვლასაც უჩქაროდა. ორი თვის განმავლობაში ისე გამომთელდა, როგორც პირველათ ომში წასვლისას იყო. სამშობლოს წმინდა ჰაერმა და ჩვეულებრივმა სასმელ-საჭმელმა შესაჩნევათ იმოქმედა ოსიყმაზე და ახლა სრულიათ ტანმთელათ გრძნობდა თავს. გამოცხადდა სამხედრო მკურნალთან და შეამოწმებინა თავი. მკურნალმა სრულიათ განკურნებულათ სცნო და ჯარში წასასვლელათ ერთი კვირის ვადა მიცეს.

სალომემ, რა-კი ისევ შვილის ჯარში წასვლის ამბავი გაიგო, ტირილი მორთო. ეუბნებოდა შვილს: შვილო, აწი მე შენ ველარ გნახავო; შენ რო ღმერთმა გადაგარჩინოს, მე მაინც ველარ დაგხვდებიო. მოვხუცდი და ამდენი ტანჯვის ატანა აღარ შემიძლიაო. შვილმა დედას დაუწყო დანუგეშება, უთხრა: მე იმდენი რამ ვნახე და გავიგონე ამ ომიანობის დროს, ყველა რო შენ იცოდე, ჩემს ომში წასვლას, არა თუ იწყენ, გამიპირდები კიდევაკო. ქართველები, საზოგადოთ და, გურულები კერძოთ, რომ ომში ნაქებია ვაშკაცობით, შენ ძალიან კარგათ გაქვს გაგონილიო. მერე, მე განა გურული არა ვარო? ომის დროს ვაშკაცი ომში უნდა და ქალი სახლშიო. ქალსავით, რო სახლში ვიჯდე, განა შენ გაგიხარდებაო? ომით ქვეყნის მტერს ვიგერიებთ და, თუ მტერმა ხელში ჩაგვიგდო, განა სიკეთეს დაგვაყრისო? მტერმა თუ გაიმარჯვა, ჩვენი ამოწყვეტა მაშინ იქნება. მტერი და ჩვენ დღეს ერთმანეთს ვებრძვით და გამარჯვება და დამარცხება, იქეთ და, ან აქეთ ღვთის საქმეა. დღეს-კი ლაჩრობა ვაშკაცს არ შეფერისო. შიში აქ არის, თვარა, როცა თოფი გავარდება, ჩვენ, ომში შიშს სრულიათაც არა ვგრძნობთო. მაშინ სიკვდილზე აღარ ვფიქრობთ, უფრო იმედითა ვართ და გამარჯვების მოლოდინით კიდევაც ვსიამოვნობთო. ოსიყმამ, ამგვარი ლაპარაკით დედა ისე დააჯერა, რო შვილის ისევ ომში წასვლაზე წინანდებულათ გულგაცეცხლებული აღარ იყო.

ოსიყმა გამოეთხოვა დედას, ძმას და წავიდა ისევ ომში. საცოდავი სალომე ოსიყმას მოსვლამ სულ გამოცვალა; დაავიწყდა წინანდელი ჯავრი და ნაღველი, გამოვლილი მწუხარება. მარა ეს წამიერი შეიქნა მისთვის და კიდევ ომში შვილის წასვლამ, ისევ მწარე საგონებელში ჩააგდო. თუმცა აღთქმა მიცა ღმერთს, რა-კი შვილის ნახვა მაღირსე, აწი აღარ გავიმეორებ წინანდელ სასოწარკვეთილებასო. მარა, როცა ოსიყმა მოაგონდებოდა, გულზე ცეცხლი შამოენთებოდა. ამოიქვნეშებდა და იტყოდა: ვაი, დედაშენის მზის დაბნელებას, შვილო ოსიყმავ! რავა დუუჯერო ვინმეს, რო მოზღვავებულ ტყვიებში ერთი მაინც არ მოგხვდება... ასეთ გამწარებულ ფიქრებში, რომ იყო ერთხელ სალომე, მწერალმა მოწერილობა მოუტანა, რითაც გოგიასაც სამხედრო ბეგრის მოსახდელათ იბარებდენ, რადგან წლოვანებით მეოცე წელში ჩამდგარიყო. ამის გაგონებაზე სალომეს მთლათ წელი მოწყდა: რაღა სახსარი ქონდა?! როგორც გოგია, ისე მეზობლის ტოლი ბიჭებიც ერთათ წაიყვანეს კენჭის ამოსაღებათ. საცოდავი სალომე იქ მიიჭრა, სადაც გოგიას კენჭი უნდა ამოეღო. ბევრი ეხვეწა ყველას: ერთი შვილი ომში მყავს და მეორესაც ნუღა მართმევთო, მარა საზოგადო კანონი ხვეწნით ხომ არ დაირღვეოდა. გოგია ჯარში გაისტუმრეს. წასვლა იმ მხარეზე შეხვდა გოგიას, სადაც მისი ძმა ოსიყმა იყო. ერთი თვის მერე გოგია და ოსიყმა ერთ პოლკში მსახურებდენ. ორივემ დედას წერილი მიწერეს: ჩვენ ერთათ ვართ და შენ ნუღა გეშინიაო. ამ ამბით სალომეც ცოტათი დაშოშმინდა.

ორივე ძმები ერთი თვის განმავლობაში ხშირათ გადიოდენ სროლაში, რაღაც ღვთის წყალობით უვნებლათ ბრუნდებოდენ.

ერთხელ, გოგიამ შეამჩნია, რო ტელეგრაფის ბოძზე ვიღაც მაღლა ადიოდა ხოხვით, გამოიჩინა გულადობა, მივარდა, ჩამოაორია, წაავლო კისერში ხელი, დაიჭირა და უფროსს

მიგვარა. ეს კაცი გერმანელი აღმოჩდა, რომელსაც მავთულების გადაჭრა სდომოდა. ამ ყოჩაღობისთვის გოგიას „ზა ხრაბროსტის“ მედალი მიცეს.

ცოტა არ იყოს, ოსიყმას გული დაწყდა, მარა იფიქრა: თუ დამჭრეს, მე უთუოთ ჯვარს მომცემენ, როგორც მეტს ნამსახურსო. მეორე დღეს ორივე ძმები სროლაში გაიყვანეს. ერთხანს თხრილიდან წარმოებდა სროლა, მარა, როცა ძლევა არც ერთი მხრიდან აღარ ჩდა, უფროსმა ჯარს ბძანება მიცა, თხრილიდან ამოიჭრენ, შეუტიეს მტერს და შეიქნა გულის შემზარავი ხელჩართული ომი. კაცის თვალი მის უსასტიკეს ბრძოლას ვერ ნახავდა. ვინ აწერს, რამდენი ვაშკაცის მკერდიდან სისხლი იღვრებოდა!.. ჩვენს სალდათებს ყირამალა გადაქონდა ხიშტებით მტერთა ვაშკაცნი, მარა არც ისინი აკლებდენ ჩვენებს ხელს. დასცეს აქიდან გულშემზარავი კიჟინა, შეუტიეს სამკვდრო-სასიცოცხლო უკანასკნელი ძლიერებით. ბოლოს და ბოლოს, მტერმა იბრუნა პირი, გაიქცა და ჩვენი ჯარი დაედევნა. რამდენიმე „პოზიციები“ წაართვეს და დაბრუნდენ უკან. დაუწყეს დაჭრილებს თავის მოყრა; საწყალობელი გოგია გადარჩენილიყო, მარა ოსიყმა არსად ჩდა. ბევრი ეძება გოგიამ დაჭრილებში, მარა ვერსად იპოვა. მერე, მკვდრებში დაუწყო ძებნა, ეგებ მკვდარი მაინც ვიპოვოო. ბევრი მკვდრები მიალაგ-მოალაგა იქით-აქეთ და, ბოლოს, მიაგნო ერთ ადგილს. სიცოცლის ნიშან-წყალი ეტყობოდა ცოტათი. მოიდვა ზურგზე, იმდენი ათრია, რო საიმედოზე გამოიტანა. დაუწყეს მკურნალებმა სინჯვა. ამოჩთა, რო მარცხენა ფეხში და მარჯვენა ხელში ყოფილა მძიმეთ დაჭრილი. გულისა და მაჯის სრესით და წვეთების ძლევით ცოტათი მობრუნდა, შეუხვიეს ჭრილობა, დააწვინეს საკაცეზე და ლაზარეთში გაგზავნეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ოსიყმა შემობრუნდა, მარა ვაი იმ შემობრუნებას! ერთი ხელი და ერთი ფეხი მოეჭრათ და ორი ღლიავის ჯოხებით ძლივს მოსიარულე სახლისკენ გაისტუმრეს...

კაი ხნის მერე, სალომეს მეზობელს ომის ველიდან სალდათის წერილი მოუვიდა: უკანასკნელი შეტაკების დროს ჩვენმა ჯარმა კარგათ გაიმარჯვაო... ღვთით მე გადავრჩი და ჯერ კარგათაც ვარო. სალომეს გოგია ველარ ვიპოვეთ, არც მკვდრებში ურევია და ვერც დაჭრილებში ვხედავთო. რაკი არსად ჩანს, უთუოთ ან ყუმბარებისგან არის დასახიჩრებული და მიტომ ვერ ვიცანით მკვდრებში და, ან ტყვეთ იქნება წაყვანილიო.

სალომე ლოყებს იკაწრავდა, მდუღარე ცრემლებს ღვრიდა...

რ. სჯანაბოელი.

26 თებერვალი, 1915 წ.

რა არის ცოცხალი ორგანიზმი?

(სამეცნიერო წერილი)

(დასასრული).

უმთავრესათ უჯრედები შედგება ცილის-მაგვარი ნივთიერებისგან, ასე რომ ეს ელემენტი შეადგენს ამაშენებელ მასალას, ამიტომაც, ყოველ მარგებელ საქმლის უმთავრეს ნაწილს ცილის-მაგვარი ნივთიერება შეადგენს. საზოგადოთ, დაკვირვება იმას გვეუბნება, რომ ადამიანის სხეულისთვის არ არის საკმარისი და სასარგებლო ის საქმელი, რომელიც მხოლოთ ერთ-ერთს ზემოაღნიშნულ ნივთიერებას შეიცავს – მაგალითად, მარტო, ან ცილის-მაგვარ ნივთიერებას, ან ქონს და, ან შაქარს. საქმელი უნდა შეიცავდეს ყველა ამ საჭირო ნივთიერებათ პროპორციონალურათ, რო სხეულის ყველა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს.

ქონი და შაქარი ის ნივთიერებანი არიან, რომლებიც იწვიან სხეულში, იძლევიან დიდ სითბოს, ხოლო სითბო-კი იძლევა მუშაობის ძალას; ქონის და შაქრის სარგებლობა სხეულისთვის, გარდა ამისა, კიდევ ისაა, რო ეს ნივთიერებანი, თვისი თვისების წყალობით, უფრო ადვილათ იწვიან, ვიდრე ცილის-მაგვარი ნივთივრება და, ამგვარათ, ამ უკანასკნელის უმეტესი ნაწილი რჩება თავისუფალი, რითაც

მეტი მასალა რჩება უჯრედების ასაღორძინებლათ და შესავსებათ.

ადამიანის სხეული კარგავს ყოველ დღე და ღამე 4 მისხალს აზოტს და 70 მისხ. ნახშირ-ბადს; აზოტის დანაკლისის ასავსებათ საკმარისი იქნებოდა გირვანქა ნახევარი ხორცი, მარა ამასთანავე საჭიროა 70 მისხალი ნახშირ-ბადის შეკრებაც. ამიტომ იმ გირვანქა ნახევარ ხორცს, რომელიც საკმარისია აზოტის შესავსებათ, კიდევ ხუთი გირვანქა ხორცი უნდა მიუმატოთ, რო საჭირო ნახშირ-ბადიც მიიღოს სხეულმა. ამდენი ხორცის მონელება კუჭისთვის, ბოლოს და ბოლოს, ისე სამძიმო შეიქნება, რო სხეული დასნეულდება. მარტო ჰაერით, რომ ისაზრდოოს ადამიანმა დღეში ექვსი გირვანქა პური დაჭირდება, მარტო რძით — 8 ბოთლი, კარტოფილით-კი 12 გირვანქა. აქიდან ჩანს, თუ რა უვარგისი ყოფილა ერთგვარი საკმელი და მასთან, რა საზარალო სხეულისთვის. უჯრედების და საკმლის ნაწილების დაწვის დროს ხდება ისეთი ქიმიური პროცესი, რომლის შედეგათ, გარდა სითბოსი, ჩდება ახალი ნივთიერიბანი: ნახშირის სიმჟავე, წყალი და მარილები,

ყოველ ჩასუნთქვის დროს, ფილტვები ივსება ჰაერით და ამ ჩასუნთქულ ჰაერიდან მჟავ-ბადი შედის სისხლში, ხოლო სისხლიდან-კი გამოდის ნახშირის სიმჟავე და შედის ფილტვებში, საიდანაც ყოველ ამოსუნთქვის დროს ჰაერთან ერთათ ამოდის ფილტვებიდან. ამ გვარათ, თავისუფლდება სისხლი ნახშირის – სიმჟავისგან — ამ მავნე და ძლიერ მომწამლავ ჰაეროვან ნივთიერებისგან.

რამდენს უფრო მეტს მუშაობს ადამიანი, მაშასადამე, სხეულში უფრო მეტი დაშლა-დაწვაა უჯრედებისა და საკმლის ნაწილებისა, იმდენათ უფრო მეტი ნახშირის სიმჟავე ჩდება სისხლში. ადამიანიც, (როგორც ყოველი სულიერი არსება) უფრო ჩქარ-ჩქარა სუნთქავს, ესე იგი, ამ აჩქარებული სულის-თქმით სხეული ცთილობს, რაც შეიძლება, საკმესებით გათავისუფლდეს სისხლში მოგროვილ ნახშირის — სიმჟავისგან.

ნახშირის სიმჟავისგან სხეული თავისუფლდება კანის ნაჩვრეტისგანაც, თუმცა-კი კანის ეს პროცესი, ფილტვებთან შედარებით, ფრიად მცირეა.

მარილები ჩდება სისხლში ცილის-მაგვარი ნივთიერებათა დაწვის დროს; ეს მარილებიც ძლიერ მავნეა უჯრედებისთვის, თუ რო სისხლი, რაც შეიძლება, ჩქარა არ გათავისუფლდა მათგან; შარდს განსაკუთრებით და ოფლს განუწყვეტლივ გამოაქვთ სხეულიდან და წმენდენ სისხლს ამ მარილებიდან.

თუ, რამდენათ საჭიროა და აუცილებელია სხეულის გათავისუფლება ამ მარილებისგან, იქიდანაც ჩანს, რო, როდესაც, მაგ., თირკმელების ანთების დროს, შარდი კლებულობს, მაშასადამე, მარილები სხეულში რჩება, ადამიანის სისხლი იწამლება ამ მარილებით. რამდენათ დაწვის პროცესი ნელია, იმდენათ სხვა და სხვა მავნე მარილების რაოდენობა მატულობს, იმდენათ უფრო იწამლება სისხლი ამ შლამით. ეს შლამი არის მიზეზი სხეულის დაძაბუნებისა და ნაადრევი სიბერისა. სხეულში, დაწვის პროცესის დროს, მჟავ-ბადი უერთდება რა წყალ-ბადს, ჩდება წყალი; მარა სხეული ყოველ მუშაობის დროს მაინც დიდძალ წყალს კარგავს: ყოველ ამოსუნთქვის დროს ჰაერთან ერთათ ორთქლათ ქცეული წყალი ამოდის ფილტვებიდან; რაც მეტს მუშაობს სხეული, იმდენათ მეტს ოფლს ასხამს მას, მაშასადამე, მეტს წყალს კარგავს; ამავე დროს შარდსაც უმატებს, ხოლო შარდი, როგორც მოგახსენეთ, არის წყალი, რომელშიაც გახსნილია სხვა და სხვა მარილები.

აი ამიტომაა, რომ ადამიანს ყოველ მუშაობის დროს მოდის დიდი წყალის წყურვილი; სხეულისთვის საჭიროა შეივსოს ის დანაკლისი წყლისა, რომელიც მას მოსდის ახლა.

იმ ფიზიოლოგიურ მუშაობას, რომელიც თანამგზავრია სიცოცხლესთან სხეულში, რაც მეტი მოძრაობა და მოქმედება სხეულის სხვა და სხვა ორგანოებს მიემატება, რაც ნაკლები ძილი და დასვენება ექნება, იმდენათ უფრო დიდი იქნება უჯრედების დაშლა, მაშასადამე, მათი შევსებაც.

ამიტომაა, რომ ახალდაბადებული და ძუძუთა ბავში დღე და ღამის უმეტეს ნაწილს ძილში ატარებენ, გამოიღვიძებენ, რო ძუძუ მოწოვონ; ძილში მყოფი ბავში ნაკლებ ფიზიოლოგიურ მუშაობას განიცდის, მაშასადამე, უჯრედების დაშლაც ამით უფრო მცირდება. დედის რძემ, არამც თუ უნდა აღადგინოს დაშლილი უჯრედები, არამედ ზედ მეტიც უნდა მისცეს ამ მოზარდ სხეულს. მოზარდ ასაკში საჭიროა, არა მარტო უჯრედების სისწორის დაცვა, არამედ მათი ზრდაც. ახალ დაბადებულის ტანის სიგძე 50 სანტიმეტრია, ერთი წლისასი-კი 70 სანტ., ახალდაბადებული იწონის 3250 გრამ. წლის ბოლოში-კი 9000 გრ.

ახალ დაბადებულს თითქმის სულ ძინავს, ერთი წლისას 20 საათი, მეორე წელიწადში რო გადადგება, 15 საათში. რაც ხანი გადის, ადამიანს, იმდენათ ნაკლები მოთხოვნილება აქვს ხანგრძლივ ძილში: ჭაბუკისთვის საჭიროა 8 10 საათი, ვაშკაცისთვის 7—8 საათი.

რამდენათ სხეული ბერდება, იმდენათ ძალა ერთმეორეთ უჯრედებს, აღორძინების ძალა; მოხუცის სხეულის უჯრედები სავსებით ველარ ივსებიან საჭმლის ნაწილებისგან.

ახალგაზდა სხეულის უჯრედები უფრო ძლიერია, სიცოცხლით და ენერგიით სავსეა, უფრო მეტს მეავ-ბადს იზიდავს და უფრო მეტი იწვის და იშლება. ყოველგვარი უჯრედი სავსებით ასრულებს თავის ბუნებრივ ნაკისრ მუშაობას და მოქმედებას; ამიტომაცაა, რომ ახალგაზდა არსება ძალ-ღონით სავსეა, ყველა ორგანოები ძლიერათ მოქმედობენ, სხეული ყვავის ფიზიკურათ და სულიერათ, უჯრედები დიდ მუშაობას ეწევიან, დიდი დაშლაა მათი, ამასთანავე მათ დიდი ძალა აქვთ მიღებულ საჭმლის ნაწილების შეთვისებისა; რამდენათ ახალგაზდაა სხეული, იმდენათ ეს შეთვისების ძალა უჯრედებში დიდია; მარა, საუბედუროთ-კი, რაც ხანში შედის სხეული და ბერდება, იმდენათ უფრო თანდათან აკლდებათ უჯრედებს ეს ძალა.

სიბერე ის ხანაა ცხოვრებისა, როდესაც სხეული უძლურდება, ჭკნება, უჯრედებს სიცოცხლის ძალა თანდათან ელევათ, აკლდებათ მათ ძალა, როგორც დაშლისა, აგრეთვე კიდევ უფრო მეტათ აღორძინების და შევსებისა. მოხუცის მუსკულები გამხდარია, მოდუნებულია, ძალას მოკლებული; ძვლები თხელი, მჩატე, გამოფიტებული. განსაკუთრებით ტვინის უჯრედებია უღონო, ტვინს სიმძიმე აკლდება, ხდება უფრო მჩატე, ჭკუაგონებაც ამიტომაა, რომ აკლდება მოხუცს, აკლდება უწინდებურ ჭკუის გამჭრახობა, მეხსიერება მალე იღლება გონებრივი მუშაობით; ნაზი, „კეთილშობილ“ უჯრედების მაგიერ, თანდათან უფრო მდაბიო ხარისხის უჯრედები მრავლდება ტვინში, რაც უფრო კიდევ ასუსტებს ჭკუა-გონების ძალას...

ესეთი მდაბიო ხარისხის უჯრედები ჩდება სხვა ყველა ორგანოების უჯრედთა შორისაც; ამიტომაა, რო ბებერი საქონლის ხორცი, წინანდელ ნაზის მაგიერ, შეიქნება მაგარი, ძარღვიანი.

კუჭის უჯრედებიც მოდუნებულია, საჭმლის მონელება შემცირებულია, საჭმლის ნაწილები საკმარისათ ველარ გადის სისხლში, აქიდან სისხლის სიღარიბე საჭმლის ნაწილებით, ხოლო ღარიბი სასხლი გამოიწვევს კიდევ უფრო მეტს სიძაბუნეს უჯრედებისას; გული-კი უფრო ნელ-ნელა და სუსტათა ცემს და ამ გაღარიბებულ სისხლსაც-კი ისე ჩქარა ვერ აწვდენს დაძაბუნებულ და დაშლილ უჯრედებს, როგორც სიყმაწვილეში.

სიბერე ადამიანის სიცოცხლეში ეს ღია კარებია, საიდანაც შემოდის სიკვდილი. როგორც სიბერე აუცილებელია, ისევე აუცილებელია სიკვდილი.

ტრაგიზმი ახლანდელი განათლებული ადამიანისა იმაშია, რომ ახლანდელი სიბერე, არ არის ნორმალური. ეს უფრო ავათმყოფობას წაგავს. მართლაც, სხეული, ისე ადრე ბერდება, ისე უდროოთ ეტყობა უჯრედებს სიცოცხლის ენერგიის დაკარგვა და უძლურება, რო ძალა უნებურათ მოგვივა ესეთი შედარება სიბერისა ავათმყოფობასთან.

თუმცა ადამიანი დღეს შეიქნა ბძანებელი მთელი ქვეყნიერებისა, მთელი დედა-მიწა გადააქცია თვისი სურვილისამებრ, დღეს ადამიანის დიდება და ძალა განუზომელია, მარა მიუხედავად ამ ბრწყინვალე მდგომირეობისა, ადამიანი არასოდეს არ ყოფილა ზნეობრივ ისეთი უკმაყოფილო, როგორც დღეს!

ჩვენ რომ ავიღოთ ახლანდელი ადამიანი და ჩავუკვირდეთ მის აგებულობას, სწორეთ გავოცდებით: ერთი მხრით, დიადი სულიერი და გონებრივი გავითარება, ხოლო მეორე მხრით-კი, მისი ფიზიკური და ფიზიოლოგიური სიძაბუნე—გონებრივმა გავითარებამ დათურგნა ადამიანის ფიზიკური მხარე; რამდენათაც ერთი ძლიერდებოდა, იმდენათ მეორე მხარე იჩაგრებოდა და, ბოლოს, ადამიანი შეიქნა ცალმხრივი, ფიზიკურათ გადაგვარებული.

დღეს ადამიანის სიცოცხლე შესამჩნევათ ხანმოკლე შეიქნა; და ეს ხანმოკლე სიცოცხლეც სულ მუდამ სხვა და სხვა ავათმყოფობაში გადის. გაჩდა ისეთი ავათმყოფობანიც, რაც ჩვენ წინაპრებს არ ჩვევია, დაძაბუნებულ სხეულს ძლია ავათმყოფობამ, კიდევ უფრო დააძაბუნდა. ასეთ დაძაბუნებულ სხეულში უჯრედებს აკლიათ ბუნებრივი სიცოცხლის ძალა და, აი, ამბტომაც ასე უდროოთ კარგვენ იგინი აღორძინების და შეთვისების ძალას, სხეულსაც, რასაკვირველია, აჩდება ნაადრევის სიბერის ნიშნები.

იმავ დროს, როდესაც სხეულის უჯრედების გამრავლების ძალა სუსტდება, საშვილოსნო ორგანოებს გამოაქვთ სანაშენო უჯრედები. მამრობითი და დედრობითი სანაშენო უჯრედების შეერთებით ჩდება ახალი არსება. ორმა ძველმა არსებამ შეერთებით შექნეს ახალი უფრო ძლიერი არსება.

ამგვარათ, ადამიანის სხეულის ის უჯრედები ექვემდებარებიან სიკვდილს, რომლებიც მხოლოთ ინდივიდის სიცოცხლისთვის არიან საჭირონი. ხოლო ის უჯრედები-კი, რომლებიც სახეთა გამრავლებისთვის არიან დანიშნულნი—მამრობითი და დედრობითი სქესური უჯრედები უკვდავნი არიან. კერძო პირი—ინდივიდი—კვდება, მოდგმა-კი უკვდავია.

ყოველი ადამიანი მომაკვდავია, ხოლო კაცობრიობა-კი უკვდავია. ექიმი ბადრიძე.

ჩვენი მდგომარეობა.

(წერილი პირველი).

ომი დიდი უბედურებაა: იგი უსპობს სიცოცხლეს მრავალ ხალხს და აყენებს ურიცხვ ზარალსაც.

მარა ომი სარკეც არის. ის ნათლათ და უტყუარათაც ხატავს სახელმწიფოებისა და ერების ძლიერება-სისუსტეს. ის ააშკარავებს, თუ რომელი მათგანი უფრო მომზადებულია ცხოვრებაში თვისი ინტერესების დასაცავათ.

ამ მხრით არა თუ დიდი, ან თავისუფალი ერებია განსაცთელში—მცირე და დამონებული ხალხიც იმგვარივე ტაფაში ვარდება იმის და მიხედვით, თუ სად და როგორ მოწინააღმდეგეთა შორის ატეხილა ომი. პატარა და დამონებული ერებიც შიგ ერევიან, იმის და მიხედვით, თუ რამდენათ მომზადებული არიან ეს პატარა ერები ამ საშინელ განსაცთელის წინაშე, იმათი ბედი და უბედობაც ამ მომზადებაზეა დამოკიდებული.

ამ უზარმაზარ სოფლიო ომში, რომელიც ახლა მოედო თითქმის მთელ ქვეყნიერებას, ჩვენ ქართველებიც ვიღებთ მონაწილეობას. პირველათ ეს მონაწილეობა გამოიხატებოდა მხოლოთ ქვეშევრდომის მოვალეობის ასრულებაში. მარა შემდეგ ომი გაიმართა ჩვენს ტერიტორიაზედაც და ახლა მონაწილეობას ვიღებთ აგრეთვე, როგორც საომარი ადგილის მკვიდრები. ჩვენთან ერთათ, მხოლოთ ჩვენს წინააღმდეგ ომში მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ ქართველებმაც, რომლებიც ლაზისტანში ცხოვრობენ და ოსმალეთის ქვეშევრდომნი არიან. იბადება საკითხი, რამდენათ ვართ ჩვენ, როგორც ცალკე ერი, მომზადებული ამ დიადი მომენტისთვის და, რამდენათ შეგვიძლია ჩვენ, თუ დრომ მოგვთხოვა, ჩვენი ინტერესი დავიცვათ.

გაზეთებში უკვე იყო აღნიშნული, რომ ეკონომიურის მხრით ჩვენ ყოვლათ მოუმზადებელი შევხვდით ამ დროს. ჩვენი ხალხის უმეტესობა სოფლის მეურნობას მისდევს. სოფლის მეურნობა-კი, რადგან საზღვარგარეთ მისი ნაყოფის გაყიდვა აკრძალულია, მეტათ შეფერხებულია. ზოგიერთ დარგს მეურნობისას, მაგ. მეღვინობას, შინაც დაბრკოლება ზღუდავს. ვაჭრობა ჩვენში აქამდი ძლიერ ცოტათაა გავრცელებული. ფაბრიკები, ქარხნები ჩვენ სრულიათ არ გაგვაჩნია. ამიტომ ახლა, როცა სოფლის მეურნობის ნაყოფს გასავალი არა აქვს, ქართველობა უმწეოა თვისი ეკონომიური მდგომარეობა როგორმე გააუმჯობესოს ისე, როგორც ამას აკერხებს სხვა ერები, მიმდევარი არა მარტო ერთის დარგისა, არამედ მრავალნაირისა. ომის დროს, თუ სოფლის მეურნობა ეცემა, მაშინ ვაჭრობა-მრეწველობას დიდიდი სარგებლობა მოაქვს.

ჩვენ, გვგონია, რომ არა თუ ეკონომიურის მხრით, არამედ პოლიტიკურის მხრითაც ჩვენ ამ დროისთვის მოუმზადებელი ვართ. ჩვენ არამც თუ არ შეგვიმუშავებია საერთო გეგმა მოქმედებისა, არამედ ჩვენ არ გვყავს კაცები საჭირო დროს დღიური მუშაობისთვის. სხვა უფრო დიდ საკითხებს, რომლებიც შეიძლება შეხვდეს ჩვენს ერს ამ ომის განმავლობაში, ჩვენ არ შეეხებით. მივაქცევთ ყურათღებას მხოლოთ ორიოდე წვრილმან მხარეს. როგორც ზევითაც მოვიხსენეთ, ომი ახლა საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებს. ჩვენ ახლა იმავე მდგომარეობაში ვართ, როგორშიდაც იმყოფება პოლონეთი.

პოლონეთის, ეს თუ ის ქალაქი, ანუ სოფელი, ხან ერთის ხელში არის, ხან მეორისაში. პოლონელები ამ შემთხვევაში, ვინც-კი პირდაპირ ომში არ იღებს მონაწილეობას, აარსებენ კომიტეტებს, რომლებიც განაგებენ ქალაქებსა და სოფლებს და უსუბუქებენ, რამდენათაც შეიძლება, მკვიდრთ გაჭირვებულ ცხოვრებას. დიდი ცოდნა და დიდი ტაკტიკაა საჭირო, რომ ამგვარ სახიფათო დროში კომიტეტმა მცხოვრებლების ნდობა დაიმსახუროს, თვისი მოქმედება საქმის ვითარებას შეუგუოს და, ამგვარათ, პირნათლათ შეასრულოს თვისი დანიშნულება. ვართ ამის შემძლე ჩვენ? სრულებით არა. აჭარას საქმე, ამის ნათელი საბუთია. ამ კუთხეს ჩვენ სრულებით არ ვიცნობთ, საჭირო კაცები ჩვენ არა გვყავს, სახსარიც არ გვაქვს და საჭირო ზომების მიღებაც არ შეგვიძლია, რადგან მართლაც მოუმზადებელი და ცხოვრებაში გამოუცთელი ვართ, ბავშებივით. თუ რამდენათ უმწეო ვართ, შემდეგი ფაკტითაც მტკიცდება. როცა ერთ სხდომაზე ჩვენ ჟურნალ-გაზეთებს უსაყვედურეს, აჭარას ნამდვილი ვითარება აქამდი რუსულ მწერლობაში არ არის განმარტებული და ახსნილიო, პასუხათ ის მოიტანეს, რომ აქ, ე. ი., თფილისში შეუძლებელია მათი გამოქვეყნება, სხვა და სხვა მიზეზების გამო, და სატახტო ქალაქებში-კი რედაქციები არ გვიბეჭდავენო. ამაზე უფრო მეტი უილაჯობის მოფიქრებაც, შეუძლებელია...

ომმა და ჩვენმა ეკონომიურმა დაქვეითებამ შიმშილობა გამოიწვია. თითქმის ნახევარი წელიწადია ეს ფაკტი უეჭვო შეიქნა. გაზეთებშიც გაცხარებული წერილებია მოთავსებული, კამათიც და

ლაპარაკიც ბევრი იყო, როგორც პრესაში, ისე საზოგადოებაში, თუ როგორ უნდა ეშველოს ხალხს და ჯერჯეროობით მხოლოთ იმ დასკვნამდი მივიდენ, რომ ერთმანეთს ექიშპებიან, არა ინტელიგენციამ ღნდა ითავოს ეს საქმე, არა დემოკრატიამო. თითქოს ეს საქმე, რომელიმე წრის საქმე იყოს და არა საერთო და თითქოს აქ ყველაფერი მხოლოთ ფულზე და მოხერხებაზე არ იყოს დამოკიდებული. აქ, კავკავში, სადაც მე ვცხოვრობ, სიმიდი ბევრიცაა და, შედარებით, იაფიც. რამდენიმე დაწესებულების და კერძო პირთა შეკითხვაზე ცნობები მივაწოდე და აქაური ქართველობის მხრით დავპირდი ყოველგვარ დახმარებას და აქაური ხარჯების დაფარვასაც. მარა პირველი შეკითხვების შემდეგ, არავითარი ხმა არ ისმის. ეტყობა, საქმე ვერ მოწყობილა თუმცა იმისი მოსაწყობათ არაფერი დიდი ნიჭი და უნარი არ არის საჭირო. ფული ამას დიდი არ დაჭირდება (მე, რასაკვირველია, იმ აზრის ვარ, რო სიმიდი დაურიგდებათ არა უფასოთ, არამედ შეღავათიანი ფასით) და მოხერხებით-კი ამგვარ საქმეს უბოალო უვიცი კომისიონერები აკეთებენ. განა ჩვენ საზოგადოებას ამგვარი საქმის მოწყობა არ უნდა შეეძლოს? შეუძლია, მარა მოთავე არ არის

ჩვენი ამგვარი მდგომარეობის მიზეზი-კი ჩვენ თვითონვე ვართ. ისტორიულმა ცხოვრებამ ჩვენი ინდივიდუალური მხარე ძლიერ გაავითარა, საზოგადო, საერთო, კოლეკტიურ ცხოვრებისთვის-კი თითქმის მოგვსპო და ახალმა თაობამ-კი ვერ შეიძლო მისი გამოსწორება... მთელი ჩვენი ყურათღება უნიადაგო პრინციპების და თეორიების ახსნას მივანდომეთ, პრაკტიკული საზოგადო მხარე-კი სრულიათ დავივიწყეთ. ჩვენი ინტელიგენციის და მოღვაწეების მიმართულება სამწიგნობრო და საფილოსოფოსო საგნებზე იყო მიქცეული, რეალური ცხოვრება-კი თავისთავათ, ინსტიკტურათ, მოღვაწეთა გარე მიდიოდა და იზდებოდა. ჩვენი მწერლობა და მოღვაწეები აქამდი ალმაცერათ უყურებენ, არა თუ მოსამსახურის და მოხელის შრომას, არამედ ვაჭრისა და მრეწველის მოქმედებასაც-კი. პრაკტიკული ცხოვრების გავითარება და მდგომარეობა არ აინტერესებს ჩვენს ინტელიგენციას და ჩვენს მწერლობას...

ამ დიდებულმა დრომ უნდა გამოგვაფხიზლოს, ჩვენი ინტელიგენციის ფსიხიკა უნდა შეცვალოს და ცხოვრებას დაუახლოვოს. მისი თვალსაზრისი უფრო დიდი, უფრო ვრცელი უნდა გახდეს... იგი უნდა ყურს ადევნებდეს და, სადაც საჭიროა ხელმძღვანელობას უწევდეს ჩვენის ცხოვრების ყოველს მხარეს...

სრულიათ საქართველოს მჭიდროთ შექმნისთვის საჭიროა მწერლობის და მეცნიერების გავითარება და არა ნაკლებ საჭიროა ფაბრიკების, ქარხნების დაარსება და მათი წარმოება. დიდათ საჭიროა სოფლის მეურნობის გავითარებაც და მცხოვრებთა უმეტესი ნაწილის გაღონიერება. მარა აგრეთვე დიდათ საჭიროა ვაჭრობის და მრეწველობის აღორძინება და აყვავება. ესეც ცოტაა. საჭიროა, რო ქართველობაში იყოს მთელი კადრი სამხედრო პირთა, სამოქალაქო მოხელეთა და სხვა ყოველ პრაკტიკულ მომუშავეთა. ყველა ესენი ცხოვრებამ შექნა, ცხოვრებისთვის ისინი საჭირო არიან, მხოლოთ ჩვენი ვალ-

დებულობაა ისინი შევუდეღოთ მთელს ერს, მის მისწრაფებას და მოთხოვნილებას.

თუ ჩვენ გვინდა ვიქნეთ ცალკე ერი, არავითარი მხარე საზოგადო და კერძო ცხოვრებისა არ უნდა დავივიწყოთ, ყველაფერი უნდა გავავითაროთ, ყველაფერი უნდა შემოვიკრიბოთ. მხოლოთ მაშინ, როცა ყოველი მხარე ჩვენი ცხოვრების ამოძრავდება, მაშინ ამ მრავალ ფეროვან მდიდარ ცხოვრებას შეიძლება მიეცეს და კიდევაც მიეცემა ერთი სული და ერთი გული. მაშინ შეგვეძლება საერთო გეგმის შემუშავებაც და იმის თქმაც, რო ჩვენ წარმოვადგენთ სრულიათ საქართველოს და მომზადებულიც ვართ და საჭირო ძალებიც გვყავს ყოველი დიდი მომენტისთვის...

ასონ ლორთქიფანიძე.

კავკავი, 27 მარტი 1915 წ.

ჩვენი ახალი ლიტერატურის ისტორიიდან.

ჟურნალ „განთიადის“ № 5-ში აკაკის ნაწერების კრიტიკულ განხილვას რო ვწერდით, ვამტკიცებდით: აკაკის ჩვენ მწერლობასთან დაახლოვება ბ-ნ ნიკო ნიკოლაძის და არა სერგეი მესხის მეოხებით იყო გამოწვეული-თქო.

ამას ვწერდი, მარა ისე ძლიერათ დასაბუთებული და ცოცხლათ დახატული, როგორც ეს ქვემო მოტანილ წერილში აღმოჩდება, მე არა მქონია.

ეს წერილი ეკუთნის ჩვენი ახალი ლიტერატურის და პუბლიცისტიკის არწივს, თვით ბ-ნ ნიკო ნიკოლაძეს. ბევრნაირათ არის ეს მდიდარი შინაარსით სავსე წერილი დიდათ საგულისხმო და შესანიშნავი: აქ არის პირველათ მთელი რიგი მოწმეების დახმარებით სინამდვილის ნათლათ აღდგენა და ახალი გაშუქება ფაქტებისა. აქვე არის იმისანა რამ ახალი, რომელიც ჯერ ჩვენ სრულიადაც არ ვიცოდით, - ნიკო ნიკოლაძის და ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებაზე. დღეს საქვეყნოთ მტკიცდება, რომ ილია ჭავჭავაძეც დიდათ დავალებული ყოფილა ნიკო ნიკოლაძისგან...

ხელუხლებლათ და სიტყვის გამოუკლებლათაც ვსტამბავთ აქვე ხსენებულ წერილს.

სომლელი.

დიდათ პატივცემულო, ბატონო რომანოზ!

ვერ ვპოულობ სიტყვებს მადლობის გამოსათქმელათ იმ საპატიო მსჯელობისთვის, რომელიც თქვენ ჩემზე გამოთქვით „განთიადის“ მეხუთე და მეექვსე ნუმრებში. სრულებით დამაბნია ამ უჩვეცმა მოვლინებამ: მგონია, ეს პირველჯერაა, რო ჩემი სახელი სტამბაში ლანძღვით და ცილისწამებით-კი არა, სიმპატიით იხსენიება — კერიას ნახშირი! განუსაზღვრელი მადლობა მომიხსენებია თქვენთვის ამ სიკეთისთვის. ღმერთმა ქნას, რო ბედნიერი ხელი გქონოდეთ.

ახლა-კი, ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ მეხუთე ნომერში მოტანილ აკაკის ნათქვამზე. რუსეთს გახლდი, როცა ის ნუმერი გამოსულა „თემისა“, რომელშიაც დაბეჭდილი ყოფილა ეს ადგილი, და ამის გამო, ის აქამდი არ წამიკითხავს. მართალია, როგორც სერგეი მესხი, ისე აკაკი (და ბევრი სხვა) მე ჩავაყენე, მწერლობაში თუ არა, „მეომარ ჟურნალისტიკაში“, მარა აკაკისთვის მახსოვრობას უღალატნია, როცა დაუწერია, ვითომ მე ვინმე დამეპატიჟნოს კერძო წრის შესადგენათ,

ილია ჭავჭავაძის თაობის საწინააღმდეგოთ. არამც და არა! საზღვარგარეთიდან რო დავბრუნდი და ქართული ჟურნალისტიკის გაცხოველება განვიზრახე (1870-იან წ.) ილია ჭავჭავაძეს დიდი ხანია სრულებით მიტოვებული ქონდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთები. ის დუშეთს ცხოვრობდა, საცა მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა*). ჩემი პირველი ნაბიჯი ის იყო, რო ყველა მაშინდელი ახალთაობის მომხრენი შევაგროვე და დავაჯერე—დუშეთში ავიდეთ, ილია ჭავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ-მეთქი. ამ აზრით და მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვით“ ქართული მწერლობის და აღორძინების მოტრფიალენი (ლუარსაბ, ანუ შაქრო მალალაშვილი, სანდრო ერისთავი—„ამერიკელი“, გიორგი ყაზბეგი, ნიკო მესხიშვილი, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, აკაკი, ნიკო ღოღობერიძე და თქვენი უმდაბლესი მოსამსახურე. ბევრჯელ დაგვიპატიჟნია: მეთაურათ გაგვიხდით, გვიწინამძღვრეთ, გვიმსახურეთ-თქო. როგორც ამ პატიჟის ინიციატორი, აგრეთვე იმ პლანის, რო საადგილ-მამულო ბანკი გავხსნათ და მისი მმართველი ილიკოს ჩავაბაროთ-თქო, მე გახლდით. იმ დროს (1870—1873 წ.) დიმიტრი ყიფიანისგან 1865-ში გამოთქმული სურვილი „ბანკი დავაარსოთო“ ყველასგან დავიწყებული იყო და საქმეც, ამის თაობაზე, დიმიტრი ყიფიანისგან დაწყებული, მისი მარშლობისგან გადადგომის შემდეგ არხივში იყო დამარხული*). შაქრო მალალაშვილს ეს ჩემი აზრი ეჭაშნიკა. მან და ნიკო მესხიშვილმა მხარი მომცეს და დიდი ღვაწლიც დადვეს ილიკოს ამ საქმეში გასაბმელათ. გიორგი ყაზბეგიც მათ ეხმარებოდა ამაშივე. ილიკო დიდ უარზე იდგა, როდი გვიჯერებდა, ვერ ბედავდა სახელმწიფო სამსახურის მიტოვებას. შაქრომ ის ოინობით გააბა ბანკის საქმეში. როცა კენჭის ყრა დანიშნული იყო ბანკის მართველების ასარჩევათ და ილიკომ გადაჭრილი უარი შემოთვალა ჩამოსვლაზე და კენჭისყრაზე, შაქრომ მიწერა: ყრილობაზე ჩხუბი მომივიდა ერთ ვაჟბატონთან, დუელში ვითხოვ და სეკუნდანტათ უნდა დამიდგე, რადგან სახუმრო საქმეთ არ მინდა ვაქციო ეს გამოწვევა. ილიკო შეშინდა მეგობრისთვის და ჩამოიჭრა. დაეხვია მას მაშინ მთელი ახალგაზდობა და ძალდატანებით თანხმობა ათქმევინა.—ბევრი ამისანა საბუთი შემიძლია გავახსენო საზოგადოებას იმის დასამტკიცებლათ, რო ჩვენს („დროების“) წრეს საერთოთ, და მე განსაკუთრებით, სრულიადაც არ გვსურვებია რამე კერძო, ახალი წრის, ან ეკლესიის დაარსება უწინდელის წინააღმდეგ, როგორც აკაკის ნაწერიდან გამოდის ახლა. გვსურდა, რაც რამ ძალა არსებობდა, იმ დროს ჩვენში, შეგვეერთებია და ერთს უღელში შეგვება, საერთო, საერობო, კულტურული საქმის საკეთებლათ. რასაკვირველია, ჩინებულათ მესმოდა,

*) მაშინდელი „ახალთაობა“ მას ენდეროდა, ბრძოლაში მიგვატოვა, „საქართველოს მოამბე“ უმიზეზოთ მოსპო, სამსახური ამჯობინა მწერლობასო, ტ სხვა და სხვა.

*) დიმიტრის დროს არც გამორკვეული ყოფილა ეს აზრი, თუ როგორი ბანკი დაარსდეს, ვაჭრული, თუ საადგილ-მამულო.

რო დიდი განსხვავება არსებობდა ილიკოს, აკაკის, მესხის, გიორგი წერეთლის და ჩემს მიმართულებებს შუა; რო ბევრში მათი აზრი ჩემის წინააღმდეგი იყო; მარა ნათლათ იმას ვგრძნობდი, რო ჩვენს სიცოცხლეში, ჩვენს მამულში ვერ მოვესწრებით ისეთი ხანას დადგომას, როცა ჩვენი აზრების წინაალმდეგობა ჩვენს შორის რეალური ბრძოლის ატეხას გამოიხმობს. წინააღმდეგობა იყო მაშინ—მარტო ნატვრის სხვა და სხვა ფეროობაში. სადავო გვქონდა მარტო ის საკითხი, თუ რომელი ნატვრა სჯობია: ილიასი, აკაკის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, თუ ჩემი? სანატრელი ყველას სხვა და სხვა ნაირი გვქონდა. მარა, რა-კი არც ერთის ჩვენგანის ნატვრა ჩვენს სიცოცხლეში არ გახორციელდებოდა, ვფიქრობდი—დაე, ყველამ, რაც უნდა, ის ინატროს. ნამდვილ ცხოვრებაში-კი, საქმიანობაში, ისეთ საგნებში, რომლის გახორციელება ჩვენს სიცოცხლეში მოსალოდნელია, ყველა, რასაკვირველია, ერთი და იმავე აზრის და გრძნობის ვიყავით. ასე ახლაც, ყოველი გონება საღი ადამიანი, რომელ პარტიასაც უნდა ეკუთნოდეს, ერთი და იმავე აზრისაა, ხომ, მაგალითად, შკოლების საჭიროებაზე, სიმართლის სიკეთეზე, სიტყვის და კრებების თავისუფლებაზე, რწმენის სიწმიდეზე და სხვა და სხვა. ასე გაშინჯეთ, ის შეხედულობა, ესე იგი, ის აზრი, რო ჩვენ ყველას შემაერთებელი მიდრეკილება ბევრათ უფრო მეტი გვაბადია, ვინემ გამყოფი და წამკიდებელი, რო დავას, მტრობას, განხეთქილებას ბადავს ჩვენს შორის მარტო ოცნება, ნატვრა, ხიმერა და არა არსებითი, რეალური ინტერესი, იმდენათ ძლიერი იყო და არის ჩემში დღემდი, ხო ჩემში სრულიათ არავითარი მწვავი სამდურავი და წყენა არ მოუხდენია და დაუტოვებია ილია ჭავჭავაძის ამხედრებას ჩემი აზრების წინაალმდეგ სათავად-აზნაურო ბანკის წესდების შესახებ, 1876-ში, ამნაირივე მტკნარ შეცთომათ მიმაჩნია დღესაც ჩვენი პარტიების ამხედრება ერთი მეორის წინააღმდეგ, რადგანაც მათ მარტო ხიმერები ყოფენ განსაკუთრებულ ბანაკებათ, მაშინ, როდესაც მათი რეალური საჭიროება და საქმე მათ უნდა ათანხმებდეს და ერთ ჭაპანს აწევინებდეს. იმის საბუთად, რომ ილიკოს წინააღმდეგ-კი არა, ილიკოს სასარგებლოთ ვკრებდი მწერლებს და ძალებს, ისიც შემიძლია მოვიტანო, რო დუშეთში ასვლის დროს გამოვართვი ილიკოს მისი ძველი ლექსების რვეული, მისი „მგზავრის წერილები", ,,გლახის ნაამბობი'', ,,აჩრდილი'' და ბევრი სხვა ნაწერი, რომელნიც ავტორს აკრძალული ეგონა, და ჩემს ,,კრებულში'' სავსებით დავბეჭდე. მისი გავლენის წინააღმდეგი რო ყოფილვიყავი, განა ამდენს ვიშრომებდი მისი ხსოვნის და ძლიერების აღსადგენათ, მისი მეთაურობის დასაარსებლათ? თითქმის მკვდარს, და მარხულს, დავიწყებულს ილიკოს, რათ აღვადგენდი დუშეთის საფლავიდან, მის წიხააღმდეგ დროშის აფრიალება რო მსურვებოდა? განახლებული, გაღვიძებული ,,დროება'' და სხივ-მოსილი „კრებული" მე ჩემთვის და ჩემი წრისთვის-კი არ მინდოდა (როგორც აკაკი ამბობს), საქართველოს საქმეს ვუძღვენი და ილიკოს ხელში ჩავაბარე, ასე გაშინჯეთ, აკაკითურთ, რომელსაც სტუდენტობის

დროიდან რალაც სამდურავი აჩნდა გულში ილიკოზე.

ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენი წერით თავი მოგაწყინეთ, მარა, რადგან თქვენ ჩვენი მწერლობის ისტორიას იხსენიებთ და ემსახურებით, იმედი მაქვს, მიხვდებით საჭიროებას აკაკის ასეთი შეცთომის გასწორებისას. დიდათ დამავალებთ, თუ ამ შეცთომას გაუსწორებლათ არ დატოვებთ, რისთვისაც შეგიძლიათ ამოიღოთ ამ ჩემი წერილიდან, რომელიც გსურთ, ფაქტები და ადგილები, თქვენი სურვილისამებრ.

ამასთანავე, გთხოვთ, თქვენს ძმას იაკობს გარდაცეთ ჩემ მაგიერ, რომ 1879 წ. სოლოვიევის ხელმწიფეზე სროლის შემდეგ, სიტყვა „სოციალიზმი“ ბევრათ უფრო მეტათ აკრძალული იყო ჩვენში ცენზურისგან, ვინემ ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის დროს, როცა ის ყველას მარტო ტეორიულ უტოპიათ მიაჩდა, და არა მებრძოლ ძალათ. ამის გამო, არც მე შემეძლო მისი ხმარება, თვარა მთელი ჩემი სტატია აღიკრძალებოდა.

დავრჩები თქვენი მორჩილი

ნ. ნიკოლაძე.

კრიტიკა

ი. გრიშაშვილი.

I.

ბ. ი. გრიშაშვილის შესახებ ჩვენში აშკარათ შემცდარი შეხედულობა დამყარდა: ბევრს გონია, ვითომც პოეტის სულიერი განწყობილება, მისი „სიშღერა“ და მთლათ მისი შემოქმედება ლაღი და უდარდელი, ცელქი და ოპტიმისტური იყოს; ვითომც ის, უმთავრესათ, ელტოდეს „სიამეთა ამა სოფლისასა“ და დარდს, სეღდას, ჭმუნვას და ვაებას არ იკარებდეს, შეგნებულათაც გაურბოდეს. ფართო მკითხველი საზოგადოება, ჩვენი „ბანოვანნი“ და მათის შეხედულობა-წარმოდგენის გამომხატველნი კალმოსანნიც-კი ბ. ი. გრიშაშვილს უყურებენ, როგორც მხოლოთ ეროსის მათაყვანებელს, „კოცნის“ უსტაბაშს და ხორციელ სიშვენიერე-სილამაზის სწორ-უპოვარ მესალმუნეს. „ბარაშკაჯან“, „კოცნა“, „გენაცვალე“ და რამდენიმე სხვა ლექსი, მართლაც მხიარული და უაღრესათ ეროტიულის ხასიათისა,—აი, რაზე ამყარებს უმრავლესობა თვის შეხედულობას და წარმოდგენას ი. გრიშაშვილის შემოქმედების შესახებ...

მარა, ვინც დაკვირვებით წაიკითხავს პოეტის ლექსთა კრებულს, დარწმუნდება, რო მისთვის ისეთივე ჩვეულებრივი სამყოფია „სევდის ბაღში“, მისთვის ისეთივე თანამგზავრია „დარდ ვარამი“ და „ოხვრა უბედურისა“, როგორც ყველა სხვა ჩვენი მგოსნებისთვის.

ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა შემთხვევა ადგენიშნა (იხ. „გრდემლი“, ნ. 1 „პოეტი-მოქალაქე—გ. აბაშიძე“, „განათლება“ „მოქალაქობრივი მოტივები ჩვენს პოეზიაში“ და სხვ.), რომ არც ერთს ჩვენს პოეტს არ ძალუძს ლაღი სიმღერა, უდარდელი ჭიკჭიკი, წმინდა ესთეტიური შემოქმედება. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობანი, საქართველოში დამყარებულ-გამეფებულნი, ჩვენს მგოსნებს ძალაუნებურათ ქმნიან მომეტებულათ „მიწის შვილათ“, მოქალაქეთ. რასაკვირველია, სიძლიერე, სილრმე და შეგნება მოქალაქობრივ მოტივისა სხვა და სხვა მგოსნის შემოქმედებაში სხვა და სხვა ხასიათის და ელფერისაა და სხვა და სხვა ლირებულობას წარმოადგენს, იმისდა მიხედვით, თუ ვინ, როგორის ნიჭის შეგნების და გავითარების პატრონია. მხოლოთ ერთი-კი ეჭვმარიტება: ყველა ჩვენს პოეტებს ახლო ანათესავებს მათი „მიწის შვილობა“, მოქალაქობრივ მოტივებით გატაცება.

ამისთვის, დეე, ნუ გაუკვირდება პატივცემულს მკითხველს, თუ ჩვენ ი. გრიშაშვილის შემოქმედების განხილვას მისი „ცრემლ ჩაქსოვილი ჰანგებიდან“ დავიწყებთ.

როგორც თითქმის ყველა ჩვენს პოეტებს, ძველებს და ახლებს, ბ. ი. გრიშაშვილსაც ენატრება „ხმები სალხენი“ და „სასიცოცხლოთ დამყნა იმედის იისა“ (იხ. ლექსთა კრებული, გვ. 47). მარა მაინც „დღე და ღამ ტირის მწუხარე“ (გვ. 21) და „ღაპა-ღუპით თვალთაგან მწველი ცრემლი ცვივა“ (70). ეს ტირილი დროებითის, შემთხვევითი ხასიათის

როდი არის: „აკვნითვე, დაბადებით თანდაყვა ბედკრულს მგოსანს ცრემლი უსაზღვრო, მარად კვნესა, დარდ-კაეშანი“ (49,101).

პოეტი „შავად დამწვარია, არ ეკარება მის სულს სიცილი“ (131); გულში დასდგომია შემოდგომა“ (126), „აცივებულა მის სულში“ (222). მგოსანს „მკერდში გული აღარა აქვს, აღარა აქვს თვალთა გუგა, ცეცხლის ცრემლმა ამოუწვა, ცეცხლის ცრემლმა გადაბუგა“ (155). „სული ატკენია, გული დაჭკნობია“ (127) და „სევდის ღრუბელი გადაკვრია მის მიმქრალ თვალებს“ (40).

შვენიერს გაზაფხულს და „ფრინველთა ჟღივილს“ დამწუხრებული ეგებება (22); „ბულბულის სტვენა ჩხავილათ ესმის, ყვავილებს შეყურებს ნაღვლიანათ და „მზის სხივები ისარმაყვლათ ესობიან დამწვარ გულში“ (25). საზოგადოთ, მგოსანს „არ ძალუძს დიდებული ბუნების ფერხულს მიცეს ბანი“ და ისიამოვნოს (49); უფრო ენათესავება მას „გაცრეცილი ობოლი ღრუბელი“ (117). ამაოთ იწვევს პოეტს „შვების ყვავილი, ამაოთ აფრქვევს სამოთხის სურნელს; „მზეც დიდებული, მზეც გულუბრყვილოც ამოდ ტყორცნის მას სხივს უკანასკნელს“ (132). შემოდგომა, გრიგალი, სიცივე ი. გრიშაშვილს უფრო შეყვარებია, და სწორეთ ამისთვისაა, რო მღერის „ჰიმნს შემოდგომის, ჰიმნს მკრთალს, ცივსა, კაეშნიანს“ (104). ურვა, ცრემლი, მას ჰანგათ ჩამოუქნია და მთელი თვისის შემოქმედებისთვის „შავ-ბნელი ზეწარი გადუფარებია“ (90). ასე წარმოიდგინეთ, მგოსანს „თვისი ლექსებიც“ შეძულებია (128): „აღარ ლოცულობს, აღარა მღერის, დაუთალხავს ქნარი, ქნარი ოქროსი“ (132), რადგანც „სიცოცხლის ჰიმნი დაუსაფლავებია“ (142).

ასეთს მდგომარეობაში ერთათ-ერთი ხსნაა სიკვდილი, და პოეტიც კვნესით მოთქვამს: „არ მსურს სიცოცხლის არარაობა, და მსურს სიკვდილი, მხოლოთ სიკვდილიო“—(25). „დაობლებულ“ პოეტის ასეთს „მოთქმაში“ სასოწარკვეთილების ხმა ისმის, ეს ხმა „ფიქრით ავათმყოფ, წყეულ-დაგმობილ“ ადამიანის სულის კვნესაა!

თუ სანამდი მიდის ი. გრიშაშვილის უსასოება, ეს იქიდანაც ჩანს, რო მას პირუტყვთა და ფრინველთა ყოფა-მდგომარეობაც ეხარბება. ტოროლას, აი, რა სიტყვებით მიმართავს:

„ბუნების ძევ! სად არა ფრენ?
რას არ მღერი გულ-წარმტაცათ?
ნეტავი შენ! ნეტავი შენ!
რომ არ გაჩდი ჩემებრ კაცათ?“ (123).

ასეთი სულიერი განწყობილება რო სიკვდილის წინამორბედია, ეს ხომ შემოქმედების ცეცხლის ჩაქრობას, „მკვდარ უდაბნოში“ -ნ ზის დამარხვას უდრის!

ყველაზე კარგათ ამას თვით პოეტი გრძნობს. ამისთვის ის იკრებს უკანასკნელს სასიცოცხლო სულიერ ძალებს და, მიუხედავათ აუტანელის ტანჯვისა, „შავ ბედს“ მხნეთ შეებრძოლება. „სიცოცხლის ჰიმნი“ მოწყურებია მგოსანს, სევდა-ვარამს საბოლოოთ ვერ ჩაუკლავს მასში სურვილი და ძალა აღმაფრენისა და შემოქმედებისა. სასიცოცხლოთ გამობრუნებული ი. გრიშაშვილი თითქმის ბძანების კილოთი მოითხოვს:

„თქვენ-კი, გესმით? გესმით მზე მინდა,
მზე ზღვის ფსკერიდან ცეცხლათ ნაფეთქი!
მზე... მზე მომეცით, მომეცით-მეთქი“! (151)

ასეთის სიძლიერის მზის—ამ სიცოცხლის უძლიერესი წყაროსი და სიმბოლოსი—მოთხოვა, მისი მაცოცხლებელ სხივებით ასე დანატრება იმისი უტყუარი მაჩვენებელია, რო მგოსნის სულს საშიში ავათმყოფობა გადუტანია და მორჩენის გზაზე დამდგარა. როგორც ვიცით, სიკვდილის კარზე მდგარი ავათმყოფი, განკურნების შემდეგ, უფრო ძლიერათ გრძნობს სიცოცხლის სიტკბოება-სიამეს, ვინემ ტანმთელი ადამიანი: ალლო და წყურვილი სიცოცხლისა უფრო ღრმათ და ძლიერათ ამეტყველდება ხოლმე ადამიანში, მორჩენის შემდეგ. ამასვე ვამჩნევთ სულიერ ავათმყოფობის დროსაც. ჩვენი პოეტიც, მზის სხივებს დანატრებული და სასიცოცხლოთ მობრუნებული, გაორკეცებული სიძლიერით განიცდის განახლებულ შემოქმედების — ამ მგოსნის სულის სიტკბო-სიამეს.

„როგორ! მე ლექსი აღარა ვწერო?, — ამბობს პოეტი —
დავწერ, კვლავ დავწერ, სანამდი
გრძნობა ფრთასა შლის, სევდა დამსხივის.
დავწერ ჩემ სისხლით კუბოს კარამდი,
დავწერ, სანამდი მელნის ზღვა ღვივის!
დავწერ, სანამდი ცეცხლ-მფრქვევი მეხით
არ გამიტყდება კალამი ჩვილი;
რომ იმ პაწია კალმის ნატეხით
მეც გამოვეჭედო ბრძოლის მახვილი!

—

ვიმღერ კვლავ ჰანგებს, ჰანგებს ზე ქვეყნურს,

ვიმღერებ, სანამ ოცნება ოხრავს,
ვიმღერებ, სანამ ჩემ ბრძოლის ჩანგურს
საფლავის ჭია ჩაკლავს, გამოხრავს“ (144)

დარდ-ვარამი, ჭმუნვა-მწუხარება, ტანჯვა-ვაება და გამობრუნებულ ცხოვრების „სიცოცხლის ჰიმნის“ კიჟინი ისეთის სიძლიერით და ისე ღრმათ აქვს გამოთქმულ-გამოხატული მგოსანს ზოგიერთს თვისს ლექსებში, რო მათზე უყოყმანოდაც ხელს მოაწერენ ჩვენი დიდი პოეტებიც!..

უსამართლობა იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ი. გრიშაშვილს — „ბარაშკის ავტორს და „კოცნის“ უსტაბაშს (!), — ვითომც არ შეშვენოდეს „აჟიკჟიკება სევდის სიმებისა (172); რო ვითომც მგოსანი მხოლოთ „სიტყვებს“ ატირებდეს და გულს-კი არა; რო საზოგადოთ, მას არ შეეძლოს აკაკისებური „ნაღვლიანობა“, ბარათაშვილისებური „სულის ობლობა“ და ორბელიანისებური „ჭმუნვა“. ნუ აეჩქარდებით! დაუცადოთ ჯერ-კიდევ „ბედკრულს, უგზოთ, უკვალოთ, უქმათ მავალს“ მგოსანს; სიყვარულით მოვეკიდოთ მას: „გავიცნოთ აწმყო, წარსული, მომავალი“, და მაშინ ვნახოთ, თუ როგორ „გადიქნას“ პოეტი და, როგორ „გაახილოს თვალი მისმა მუზამ“! (180). ჩვენ ღრმათ გვწამს, რო „გადაქმნილ გაღვიძებული“ მგოსანი ჩქარა მძლავრს მოქალაქობრივ ხმას ამოაღებინებს ჩანგს და „კოცნის უსტაბაშს“ დაღს მალე შუბლიდან წარიხოცს! ოღონდ, ვიმეორებთ, უნდა მივსცეთ მგოსანს შეძლება, „ნახოს“, რაც საჭიროა, და „იყოს“ იქ, სადაც მისთვის სასარგებლოა.

II

საინტერესოა გამოვარკვიოთ: რას „დაუწვავს შავათ“ მგოსანი, რისთვის „არ ეკარება მის სულს სიცილი“ (126); რამ „ჩაუხლართა სულში ფიქრი მწვავე, ფიქრი შავი“ (121); რა უშლის „მოსწყდეს სევდის მთას-მწვავს“ (73); რამ გადუქცია „კუბოდ ცისა ეთერი და შვებად-კვნესა სასაფლაოსი“ (132)... ერთის სიტყვით, რა არის უმთავრესი მიზეზი მგოსნის სევდა-ვაებისა და კაეშნისა?

ერთათ ერთი სარწმუნო და სანდო წყაროა ამ საკითხების გამოსარკვევათ პოეტის „ჩანგის მოთქმაა“, მისი პოეტური აღსარებაა. მავმართოთ მხოლოთ ამ უტყუარ წყაროს და გადავივიწყოთ, დროებით მაინც, „თვალით“ ნახული და „ყურით“ გაგონილი ბ. ი. გრიშაშვილის შესახებ.

მთავარი მიზეზი პოეტის ღრმა მწუხარებისა და ვაებისა, როგორც თვითონ გვამცნევს, ის არის, რო ვერ გამოურკვევია გზა ცხოვრებაში, ნათლად ვერ დაუსახავს საგანი მღერისა, შემოქმედებისა; არ იცის, რას, ან ვის ემსახუროს, რას, ან ვის უკმიოს გუნდრუკი, ვისი, ან რისი საქებ-სადიდებლათ და „სალოცავათ“ დახარჯოს პოეტური ძალა, ჭაბუკური სულის კვეთება.

მგოსანი არ მალავს, რომ „უმიზნოთ დაეხეტება“, „დღესაც ღმერთს ეძებს“ (162). ასეთი მდგომარეობა გრძნობით აღვსილ პოეტისა, მართლაც, რო საშინელებაა!

ნიჭიერი, შემოქმედების ძალ-ღონით აღსავსე, მღელვარე გულის პატრონი, „საიდუმლო სიმთა ყღერას“ და „ღვთაებრივ სულის სილამაზეს“ დანატრებული (114) პოეტი გრძნობს, რომ არა ყავს, ვერ უპოვია სათაყვანებელი „ღმერთი“, ე. ი., გარკვეული და ღირსეული იდეალი, ვერ აღუშენებია ხელ-უხლებელი და წმიდა „ტაძარი“ სალოცავათ.

მგოსანმა ისიც იცის, რომ „უღვთაებო“ და „უტაძრო“ შემოქმედება, ცის ლურჯ-ეთერს ვერ აეკვრება“, „ღვთაების სილამაზეს და სიძლიერეს ვერ ეზიარება“ და, მაშასადამე, ვერ შექმნის რამე ღირსშესანიშნავს და სამარადისოს.

მართალია, „უღვთაებო“, მარა ნიჭიერი პოეტიც შეძლებს მღერას, — მღერას ტკბილს და წარმტაცსაც; მართალია, მასაც მიუახლოვდება და „რითმას დაუწნავს“ მუზა. მარა ეს იქნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაკვრით, დროებითი სიმღერათ; ეს იქნება უმიზნო და უსაგნო, სამარადისოს ‚ღვთაებრიობას მოკლებული, „ჩანგის წკრიალი“. ასეთს სიმღერას ხომ ფასი არა აქვს; ასეთი ჭაგნები ხომ უნაყოფო — უშედეგოა! .

ყველაზე ცხადათ, ყველაზე მწვავეთ ამ „უღვთაეობის“ მავნებლობას გრძნობს თვით მგოსანი, რომელიც მომსყიდველის გულახდილობით საქვეყნოთ აცხადებს, რომ „არ შეუძლია წერა ხანგრძლივი, არ შეუძლია ფიქრი ხანგრძლივათ“ (200), ვინაიდან „სადგური წმიდა ვერსად უპოვია“; უიდეალოთ სიმღერაკი „ლექსებით ამაო ბოდვათ მიაჩნია“ (170).

რო მოსალოდნელი „სიბეჩავე“ და „არარაობა“ (210) თავიდან აიცილოს, ი. გრიშაშვილი გულ-მოდგინეთ და გატაცებით დაეძებს მ-ცოცხლებელ „ღმერთს“. ამ ძიების დროს ჭაბუკ მგოსანს პირველ ყოვლისა სა-

თაყვანებელ „ღმერთათ“ ტრფობა და სიყვარული ევლინება. ამ გრძნობის ალში და მისი დამატკბობელ ნექტარის ნაკადულში სურს მას „პოვოს ჭეშმარიტი ყოფნის ღმერთი“. (175).

მგოსანმა თითქოს პოვა ამ ტრფობა სიყვარულის გახორციელებაც... მის აღტაცებას ახლა საზღვარი არა აქვს, ვინაიდან, მისის აზრით, ბოლო ¦ მოეღება „უაზრო და ¦ კვალო“ ხეტიალს და უმიზნოთ მღერას. ი. გრიშაშვილი მთელს თვისს სულიერს ძალას იკრეფს, ყოველივე მხატვრულს საშვალებას და ხერხს ხმარობს, ცადა-ქვეყანას, უსულო და სულიერ არსთ და საგნებს წვდება და იშველიებს, რო ღირსეულათ, თვალწარმტაცათ მორთოს-მოკაზმოს „სულის კერპი“ — სატრფო.

„ზღვის ფსკერიდან ძვირფას ქვებს ვკრეფ,
ვკრეფ უცნაურს მარგალიტებს“, — მოგვითხრობს მგოსანი —
მზის სიცილი დავაფრქვიე გადაზნექილ ვარდის კვირტებს,
ცის კამარას ჩავაგრიხე, ჩავაგრიხე ცეცხლის სხივი,
ორთქლის კაბა გადაგაცვი, ყელს დაგკიდე ნამის მძივი,
მთას მოვწყვიტე ნისლის ცრემლი, ღმერთს მოვტაცე ძალთა-ძალი,
და ეგ ვარდი ისე მოვრთე, ვით უმანკო პატარძალი!“

თვისი „რწმენის სამლოცველო“ — სატრფო მგოსანს წარმოუდგენია და ეჩვენება ყოველივე იმ საგნათ და არსებათ, რაც ბუნების წიაღში ლამაზი, ნაზი, თვალწარმტაცი, დიდებული და ბუმბერაზია.

„შენ ხავერდის ყვავილი ხარ, ხარ ტკბილი
და ხან-კი მწარე“, — ეუბნება „სულის კერპს“;
შენ ნუკრი ხარ, ლაღი ნუკრი, ტბის გულმკერდზე მოცეკვავე.
შენ ხარ რწმენის სამლოცველო, გამოუცნობ გრძნებით სავსე...
შენ ზამბახის ფურცელი ხარ, ცურავ ნამში ცათ იწვევი.
შენ ვეზუვის ფრიალო ხარ, მთა სასტიკი, ცეცხლის მფრქვევი...
შენს თვალებში ტალღას ძინავს, ტალღას მშვიდს და მოკამკამეს.
შენს თვალებში ფეთქს სიცოცხლე, ვეძებ აზრებს თავისუფალს...
შენს თვალებში კრთის ვარსკვლავი, სტირს ტირიფი თავდახრილი,
შენს თვალებში კანდელს აქრობს ზღვით ნატყორცსი სიო გრილი“ (175).

ამ თვისი „სულის კერპს“ მგოსანმა პირველ ხანებში „უწმიდესი სულის ლტოლვა მიუძღვნა“ (156); ეგონა, რო სატრფო „სიმბოლოა სიწმიდისა“, „ღმერთია ქნარზე ქანდაკებული“ (130), „ლოცვის წმიდა და სპეტაკი კოშკია“ (153), „ცის და ქვეყნის კავშირია“ (169). ასეთი აღტაცებული თაყვანისცემა სატრფოსი ვისმეს მიწიერ გრძნობათა ღელვათ და ჩვეულებრივ ტრფიალებათ რომ არ მოჩვენებოდა, მგოსანი გადაჭრით გვეუბნება:

„მე თვით შვენიერს - მწამს შვენიერი;
მე მხოლოთ მიყვარს სული ქალისა,
სხვა არაფერი, სხვა არაფერიო“ (170).

მარა ილიუზია ჩქარა გაქრა. სამარადისო და სიშვენიერის მოტრფიალე მგოსანს იმედი ჩქარა გაუცრუვდა. მიწიერ ადამიანის სულში და აღგზნებულ ტრფობის ცეცხლში მან „ყოფნის ღმერთი“ — იდეალი ვერ პოვა. „ეჰ, ვინ მოთვლის, სად არ იყო, ვის გულს ის არ ჩაქსოვია, მარა მაინც თვისი ღმერთი ვერსათ ნახა, ვერსათ პოვა“ (133; 175). ი. გრიშაშვილი მალე დარწმუნდა, რო, რაც გინდ შვენიერი იყოს ქალი, მაინც დროებითია მისი „სილამაზე ჯავარ-აყრილი“; რო ქალი მთელი არსება „ვნების ტალღითაა წალეკილი“ და სწორეთ ამისთვის „ცის შვილის სულთან მას არა აქვს საერთო“ (148).

ამნაირათ, „თვით სიყვარულზე შეყვარებული“ (210) მგოსანი, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდა თავისივე ხელით დაემარხა „სულის კერპი“ და ოცნებით ეგებული სამლოცველოც დაენგრია.

„წყეულ იყავ შენ!
რათ არ ვიგრძნე, რო ხარ ცდუნება?
წყეულ იყავ შენ! დაწყევლოს ღმერთმა ქალის ბუნება“-ო (178).

მრისხანეთ გაიძახის მოტყუებული და გულმოკლული პოეტი! უკანასკნელი საბოლოოთ დარწმუნდა, რომ „არ არსებობს სიყვარული საუკუნო“ (191). რომ „არსებობს მარტოოდენ გატაცება წუთიერი“ და რო „წუთიერი გულის თქმას არა აქვს საუკუნო ბოლო“ (189).

იდეალის დაკარგვა და სათაყვანებელი საგნის უღირსობა — აი, რაშია უმთავრესი მიზეზი ი. გრიშაშვილის მწუხარებისა, მისი სასოწარკვეთილებამდი მისული სულიერი კვნე-

სა-ვაებისა. აი, რამ „მოღალა და, დაობლა“ (70), რამ „დაუმსხვრია გულის ნაზი სიმები“ (26) და რამ „მოუკლა ჭაბუკი რწმენა“. მოვისმინოთ უფრო ვრცლათ პოეტის „სულის ამოკვნესა“ (131):

„შავათ დავმწვარვარ, მზის ცხოველ სხივით“,
არ ეკარება ჩემს სულს სიცილი,
შავებ გადაცმულ ჭალწულ-ქალივით
დავალ ულად, ეფრთებ მოკვეცილი.

—

რა ბედენაა, ცისა კამარა,
რომ დაებჯინოს ბუნების მთა-კლდეს?
რა ბედენაა, ჩემებრ არარა
რომ ამ ქვეყანას მოწყდეს, მოაკლდეს?

ამაოთ მიწვევ, შვების ყვავილო,
ამაოთ მაფრქვევ სამოთხის სურნელს,
მზევ დიდებულო, მზევ გულუბრყვილო,
ამაოთ მტყორცნი სხივს უკანასკნელს!

—

გუშინ დავმარხე სატრფო გულისა,
გუშინ კამარას მოსხლტა მთოვარე.
დავლვარე ცრემლი სინანულისა,
უდაბნოს ქვიშა გადავაფარე.

—

ო, რათ მომტაცეთ ოცნების კოცნა?
რათ მომიშხამეთ ტკბილი სიზმარი?
ცავ! აღადგინე რწმენის ტაძარი.
ზეცავ, პასუხი! პასუხი ჩქარი!

—

სული მიკვნესის, სული ვალალებს.
ხედავ, შენს მკერდზე ჩემი სუდარა
დროშათ, ემბლემათ, როგორ ფრიალებს?—
...აღარ ვლოცულობ... აღარა ვმღერი...
დავთალხე ქნარი, ქნარი ოქროსი,
კუბოთ გადმექცა ცისა ეთერი
და შვებათ-კვნესა სასაფლაოსი“.

უპასუხოთ არ დარჩა მგოსნის ასეთი გულწრფელი ღაღადისი და ზეცისადმი ხვეწნა-მუდარა: ზეცამ ესმინა ი. გრიშაშვილს, უჩვენა უფრო ღირსეული საგანი „სალოცავათ“, მისცა საშვალება „აღედგინა რწმენის ტაძარი“, „დამარხული მუზა“ გაეცოცხლებია.

რა საგანია ეს?

ეს საგანია „ფიქრ-ზრახვა“ „სნეულ ივერიაზე“, მის „ბედზე“,—საგანი, დამეთანხმებით, ყოვლად ღირსეული და ყველა შეგნებულ ქართველისთვის სანეტარო, საოცნებო. ერთს ლექსში (187) ი. გრიშაშვილი გარკვეულათ ამბობს:

„მხოლოთ გული იმასა სწუხს, მხოლოთ
გული მიტომ კვდება,
რო სნეული ივერია, ვინ უწყს, როდის გა-
ნახლდება“...

კმარა! დასრულდა მგოსნის „უგზოთ, უკვალოთ“ ხეტიალი! ბოლო მოეღო მის „სულ ერთგვარ ბოდვას“ (165) და „ერთსა-ხეობას“ (131)! დაუდგა მას ბედნიერი დრო, როდესაც შეძლებს „ხანგძლივ რწმენას, ხანგძლივ ფიქრს“ (200)! თუ ი. გრიშაშვილმა თვისი მაღალი პოეტური ნიჭი, ოცნების ლაღი ნავარდი, მგზნებარე გრძნობა და სიტყვის, რითმის ჯადოსნობა ამ ღირსეულს „სატრფოს“—სამშობლოს შეალია და მოახმარა ისე უხვათ, ზეაღმტაცათ და დაჯინებით, როგორც ეს მან წინანდელ ულირს საგანს—ხორციელ სიყვარულს—შეწირა, მაშინ იმედი უნდა ქონდეს მგოსანს, რო მადლიერი სამშობლო, მისს სიმღერის და ტრფობის სიკეკლუცით დამტკბარი და აღტაცებული, არამც თუ „არ წაართმევს მას მგოსნის სასულეს“, საპატიო ადგილსაც დაუთმობს ქართველ პოეტთა პანთეონში. ნუ გაიტეხს გულს ჩვენი ნიჭიერი მგოსანი, რო „სწავლის მამებს-პროფესორებს“ მისთვის „არ უღაღადნიათ, არ ყოფილან მისთვის მოცლილნი“; რო ჯერ ის „არსად ყოფილა, არაფერი უნახავს“; რო მისი „მუზა“ დღემდი ერთსა „ჩმახავდა“. ნუ უძახის თავის თავს „ბედკრულს, უქმათ მავალს“! მან უკვე აღლოთი მიაგნო შემოქმედების უმთავრეს და უშრეტს წყაროს—სამშობლოს ძუძუს,—ძუძუს ტკბილს და ნოყიერს; ის უკვე ხარბათ დაეწაფა ამ ნექტარს, იგემა მისი სიტკბოება... და გვჯერა, ვიმედოვნებთ, რომ ამ მასასზდოებელ ძალას მგოსანი არ მოშორდება, გაიზდება, დავაშაკცდება და ქართველ „მკერდ-გაპობილ მებრძოლ გმირებს“ ღირსეულათ გვერდში ამოუდგება! რო „ქარის ფრთაზე მოქანავე დაფლეთილ ქართველთ დროშას“ ზღვის ტალღებს არ მოატაცინებს, „ერის სიამაყე წმიდათა წმიდას“ არავის შეალახვინებს! წაიკითხეთ და ჩაუკვირდით მგოსნის შესანიშნავ ლექსს—„სამშობლოს ნანგრევებში“, შესანიშნავს თვისის ცრემლის მომგვრელი გულწრფელობით, მაღალის გრძნობით და მუსიკალობით.

„სიზმარათ ვნახე საქართველო—სისხლის
ზღვაში ბანაობდა
და დროშა კი დაფლეთილი ქარის ფრთაზე
ქანაობდა.

და მეც, ვითომ ღრუბლებიდან დავყურებდი
იმ ნაპირებს,
სადაც ნაშთი ჩახვეოდა მკერდ-გაპობილ მე-
ბრძოლ გმირებს,
დავყურებდი ძველ მონასტრებს, ძველ აკლ-
დამებს წინაპართა,
სადაც ერმა ივერიის სისხლის დროშა ზე
აღმართა,
და ვფიქრობდი: ნუ თუ დღეს ბრბო, ისე
დაჭკნა და დაკნინდა,
რო სხვებს მიაქვს ჩვენი ერის სიამაყე, წმი-
დათ-წმიდა!..

—

ო, სამშობლოვ! შენს უღირსს შვილს, მო-
ნას, მხდალსა და უბედურს
ნუ, ნუ დამბდებ ბრალს წაუშლელს, ნუ
მომასმენ შენს საყვედურს;
ნუ, ნუ მეტყვი ჩემი მუზა, რო ყოველთვის
ერთსა ჩმახავს, —
მაშ, რავუყო, გენაცვალე, სად ვყოფილვარ,
რა მინახავს?!.
მითხარ რამე—მე ბედით კრულს, უგზოთ,
უკვლოთ, უქმათ მავალს,
მითხარ რამე, რო გავეცნო აწმყოს, წარ-
სულს და მომავალს.
მაშინ თვით მეც გარდვიქნები. მაშინ მუზაც
თვალს გაახელს,
მარა ჯერ-კი, გთხოვ სამშობლოვ, ნუ წა-
მართმევ მგოსნის სახელს".

ამ ლექსის დამწერი, თუ იმ გზას გაყვა, რომელსაც უკვე მიაგნო, თუ ახალი „სულის მეუფეზე" ისე დაჯინებით და ნიჭიერათ იმღერა, როგორათაც პირველ „სულის კერპზე". მღეროდა, უეჭველია, დიდ და ყველასთვის საყვარელ მგოსნათ გახდება.

III

დღეს ი. გრიშაშვილის ლექსთა კრებული, გულახდილათ უნდა მოგახსენოთ, შინაარსის მხრით დიდს ღირებულობას არ წარმოადგენს. სწორეთ რო, თვით მგოსნის თქმის არ იყოს, მისი ლექსები „ერთგვარი ბოდვა, ერთგვარი ჩმახვაა". მართალია, როგორც თვით პოეტი ამბობს ის „სიყვარულმა შექმნა პოტათ"; მართალია, ჯერჯერობით მისი სახელი და პატივისცემა ზოგიერთ წრეებში, უმთავრესათ, მის ეროტიულის ხასიათის ლამაზ ლექსებზეა დამყარებული. მარა ისიც მართალია, რო, თუ მან მხოლოთ ამ საგანს შეალია თვისი შემოქმედებითი ძალ-ღონე, აუცილებლათ, ეს საგანი (სიყვარული) მას „გაანადგურებს" (168). აბა, დაუკვირდით, თუ, როგორის თანდათანობით მდაბლდება, მიწიერდება მგოსნის მღერის საგანი; თუ, როგორ ეხვევა მგოსანი ხორციელი ტრფობის ალში; თუ როგორ იმონავებს მის ენებათა ღელვა, სხეულის ნდობასურვილი! დაუკვირდით, თუ როგორ თანდათან ამდაბლებს, ამიწიერებს თვისს, ისედაც დაბალს და ულირს, „ღმერთს"!

პოეტი, უმთავრესათ, იმითი იხიბლება, რო მიჯნური „ჩააკვდა მის მიმქრალ ტუჩებს" (186), რო მან, „ენებით სავსემ, ენებით ჩაკბინა" (110). მგოსანს საოცნებოთ გახდომია „სატრფოს სარეცელის ნახვა", (207) „კოცნით დასრესა მისი ამოფეთქილ მკერდის კუკურის" (183). მას სურს „დასტკბეს სინამდვილით" და ამისთვის სატრფოს ტყეში იწვევს.

იქ მე ასე გადაგიწვენ სათუთ მკლავზე
გადატეხით,
იქ მე კოცნით წავშლი მიწას აქოჩრილი შე-
ნის ფეხით!
იქ მე ასე მსურს მოვკოცნო შენი ტუჩი მოხას-
ხასე,
აი, ასე მსურს მოვკოცნო... აი ასე, აი
ასე"...

ჩანს, რომ ი. გრიშაშვილს ძლიერ შეუტოპავს ენებათა ღელვის მორევში; ისე ძლიერ „დამთვრალა", რო ქალის ფეხი გაუხთია „სალოცავ სულის კერპათ".

„რა ვქნა? მკერდ ქვეშ გულის ნაცვლათ
შენი ფეხი მისვენია,
ჩემ სალოცავ სულის კერპათ მხოლოთ ეგ
ღა დამშთენია;
ოდეს მოვკვდე და დამატყდეს მე რისხვა ზე-
კით ნატეხი —
ამასა გთხოვ: —ჩემს საფლავზე ძეგლათ გას-
დგი შენი ფეხი." (173)

ამაზე უფრო „დაკნინება" შემოქმედებისა, ამაზე დაბლა დაშვება პოეზიის წმიდა დროშისა წარმოუდგენელია!

ტყვილათ ეძებენ ჩვენი კრიტიკოსები და ლეკტორები რაღაც სიმბოლოს" ი. გრიშაშვილის ლექსებში; ტყვილათ ცდილობენ გააზეციერონ მისი დღემდის უაღრესათ მიწიერი სიმღერა; ტყვილათ გონიათ რო პოეტმა რაღაც ახალი მოტივი და ძიება შეიტანა სიყვარულის განცდაში! ტყვილათ ეპოტინებიან აღმოსავლეთს, აღმოსავლეთის პოეზიას: გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ი. გრიშაშვილი დღემდის მხოლოთ ნიჭიერი შეგირდია „ამა-

ერეოლებელ“ ხორციელ სიყვარულის მომღერალ რ. ერისთავისა (პირველი ხანა მისი შემოქმედებისა) და „ეშხით დამწვარ“ გ. აბაშიძისა. იგივე მოტივები, იგივე სურათი, თუ იგივე არა, ძლიერ მსგავსი სიტყვები და ფრაზები სიყვარულის გამოსახატავად! ოღონდ ნიჭიერმა შეგირდმა,—არ ვიტყვით გაალრმავეო,—გააფერადა, მოაოქროვა აშიკობა ლამაზი და ბრჭყვიალა სიტყვებით, შედარებით და სხვა და სხვა ეპიტეტებით... ი. გრიშაშვილის სატრფიალო ლექსები სწორედ რომ „ამურის კალმით, კალმით სათუთით არის შექმნილ — შეთხზული“ (200) და ერთ გვარ ხასიათის ადამიანზე ცხოვრების განსაკუთრებულ მომენტებში დიდს ჩაბეჭდილებასაც იწვევს..

ი. გრიშაშვილის სიმღერა მხოლოდ იმით, განირჩევა რ. ერისთავის ან გ. აბაშიძის სიმღერისგან რომ უკანასკნელთა ტრფიალი ლაღი, უდარდელი, ტკბილი ან უიმედო, პირველის კი ნაღველ ნარევი, მწარ-ტკბილი, ცრემლიანი და იჭვიანი.

დღემდე ბ. ი. გრიშაშვილი, როგორც აღვნიშნეთ, დაჯილდოებით მხოლოდ ერთს საგანს დამღერის, ერთ ღმერთს ემსახურება. პოეტის ცალკეკე „ჰიმნი“, ამ ღვთაებისადმი მოძღვნილი, ლამაზი და ჰარმონიულია, და, თუ თქვენს გონებას არა, ესთეტიურ გრძნობას მაინც გიტკბობთ იშვიათის მუსიკალობით. მარა, როდესაც კრებულში ზედიზედ კითხულობთ ამ „ჰიმნებს“, თავს გაბეზრებს თვისს ერთფეროვნებით, „ერთსახობით“. თაიგული მაშინ არის ლამაზი და შვენიერი, როდესაც სხვა და სხვა ფერის სურნელოვან ყვავილებისგან არის გაკეთებულ-შეზავებული. ი. გრიშაშვილის ლექსთა კრებულიც მაშინ იქნებოდა თვალწარმტაცი და დამტკბობი, თუ-კი იქ, გარდა „საშიკო წერილებისა“ (189), სხვა შინაარსის „წერილებიც“ იქნებოდა. სამწუხაროთ-კი, ჩვენ იშვიათათ შევხვდებით პოეტის ლექსებში სხვა საგანზე მღერას, მაგალ. მოქალაქობრივ მოტივს და, საზოგადოთ, რამე ზოგად საკითხებზედ და ღირსშესანიშნავ იდეებზე დაფიქრებას, ამ საკითხებით და იდეებით გამოწვეულ პოეტურ განცდათა გამოთქმას.

თუმცა პოეტი ერთს თვის ლექსში ამაყათ ამბობს: „მე-კი ცას ვეკუთნი; შენი ვარ ღმერთო, მე ზეცას ვიშვიო“ (148) და თვის თავს „ზეკაცს“ უწოდებს (129), მარა დღემდი მისი მუზა „დაბლა ხოხავს, ღრუბლებამდის ველარ ადის“ და არაფერი „ციური“ და „ზეკაცური“ შეუქმნია.

პოეტი ძლიერ ცდება იმაშიაც, რო გონია, ვითომც ყველა, ვისაც მოწყურდება „ზექვეყნიური, წმიდა, უმწიკვლო სიყვარული“ მის „წიგნში“ იპოვნის და „მზიური და მთვარული ჰანგებით“ დატკბება (226).

ერთათ ერთი წმინდა ესთეტიური გრძნობა, რომელსაც მკითხველი განიცდის მგოსნის „წიგნიდან“, ბუნების გრძნობაა. პოეტი ლამაზათ აგვიწერს სხვა და სხვა ბუნების მოვლენას და მოხერხებულათაც ჩააქვსოვს ხოლმე ამ აღწერაში თვისი პირადს განცდას და გრძნობას. მხოლოთ მის სურათებს აკლია ვაჟას სურათების სიმარტივე, აკაკისა — სინაზე, ილიასი და ორბელიანების — სიძლიერე.

ი. გრიშაშვილის ეპიტეტები გადამეტებით გაშალაშინებულ — გაელვარებულია, ბრჭყვიალაა. აკლია ხორცშესხმულობა და ნერვები. მგოსნის ბუნების აღწერაში „სიტყვა“ ჩრდილავს სურათის მოხაზულობას, ნაკვთებს და, ამნაირათ, სახე სურათისა მკითხველის წინაშე მკრთალდება, რაღაც ბურუსით გადიკვრება. საჭიროა კაცმა ძალა დაატანოს თვის ფანტაზიას, რო ნაოლათ წარმოიდგინოს დახატული ბუნების მოვლენა. სამინუშოთ ამოვწერთ რამდენიმე ტაეპს.

„დავტოვე ბაღი, ტრფობის ბაღი, უცხოთ მორთული,
სად ღრუბლის ნამი ეხვეოდა ყვავილთა მტევანს,
სად მთვარის შუქი სხივ-გაშლილი, სხივთ თაიგული
იდუმალ ზრახვათ ეფრქვეოდა ბროლის შადრევანს.

—

ცის სიმფონია მზის ტაღლებში ტკბილ ჰანგთა კვევით
ალივლივებდა, ატოკებდა მგოსნის სულის ნავს;
ღამის ნიავი გედის სპეტაკ თეთრ ფრთათა რხევით
დახლართულ ბუჩქებს უწეწავდა ჩამოშლილ ნაწნავს“ (134)...

* * *

„ცის ჰორიზონტსა გადაკვრია ლურჯი არშია,
სიზმარს დაეძებს ცაში მთვარე, სიზმარს სუ-ბუქს, ნელს
შავ-თვალა წვიმა წყნარაია ცრის და ბუჩქ-ში ია
თავჩაქინდრული მიმოაბნევს თაფლის ფერ სურნელს.

—

კუდრაჟა სიო ლაზღანდარობს, მიდამოს არ-ხევს,

სულს აკისკროვნებს ფოთოლთ ცეკვა, ტყის
დასავალი,
ვარდის ღიმილი ნეტარების ცრემლებსა
აფრქვევს,
ფერად კიდეებს ლაღათ დაცქერის მთისა
მწვერვალი“ (49)...

* * *

„როს ქარიშხალი ზუზუნ-გრიალებს,
ეხლება, ებრძვის მაღალ მწვერვალებს
და ხეს, ტყეს, ღრეს, კლდეს ლეწავს და
ამსხვრევს,
შხამ-გესლ-მწვავს ანთხევს, ყეფს, კვნესს,
მღელვარებს,
დაძრწის ეული, ქუხს, სწუხს, მძივინვარებს
გაფთრებული, —
მაშინ ყვავილი წელში იხრება“... და სხვა (27).

ამ სამიოდ მინუშიდანაც ჩანს, რო პოეტი ბუნების აღწერის დროს უფრო სხვა და სხვა ფერათ საღებავების — სიტყვების — ამორჩევის ზრუნვა-ცდაშია, ვინემ თვით ბუნების რომელიმე მოვლენის ხელშესახებათ, მკაფიოთ და მთლიანათ წარმოდგენაში. მას უფრო იტაცებს სიტყვების - ფერადების — ლამაზათ შეზავშეხამება, ვინემ თვით საგნის მოხაზულობა, მისი ბუნებრივი სახე და ელფერი. მარა, როდესაც მგოსანი ამ ჩვეულებას, წერის მანერას, ივიწყებს, ან ავიწყდება, მაშინ მისი სურათები შვენიერი გამოდის; მაშინ მისი ლექსიც სადა და ნაზი სიტყვითაა აკინძული, მაშინ სურათიც ხორცს ისხამს, მთლიანდება. აი, ამის მინუშებიც.

„გაზაფხულდა! ტოროლამ ჩაიკვნეს-ჩაიწკრიალა,
ზრმუხტ ცის ნამმა ფოთლები დანამა
ააბრეყვიალა,
მერცხალმაც ცისა ნიავი გააპო, შეისრიალა.
და ცელქმა სიომ ბუჩქნარი შეაკრთო, შეაშრიალა.
გამოზაფხულდა! კორდის ძირს მოშხუის
ლაღათ მდინარე,
წარბებს იღებავს ყვავილი, იღვიძებს ვერხვი
მძინარე“ (81)...

* * *

„ბუჩქის ძირას
სოსანი სტირს,
ეკალს მკერდი გაუკწრავს
გოდებს, მოთქვამს
და ვეცხლის ნამს
მდელოს აკმევს... ცრემლებით რწყავს“ (63)..

IV.

არამც თუ ბუნების აღწერაში. სხვა დროსაც, სხვა თვის განცდათა და აზრთა გამოხატვაშიაც, ჩვენი პოეტი გადაჭარბებით ხმარობს თვის ოსტატობას და უკიდურესათ დეკადენტურ, თითქმის ფუტურისტულ, ხასიათს აძლევს ზოგიერთ სიმღერას.

მართალია, ი. გრიშაშვილის ქართული, მისი სიტყვები, განსაკუთრებით, მისი საუცხოვო ლექსთა-წყობა, სიტყვა-კაზმულობა სამაგალითოთ უნდა ჩაითვალოს; მართალია, მგოსანმა შექმნა, — დიახ, შექმნა, — საუცხოვო ლექსი, სიტყვათა ტკბილ-ხმოვანება, მუსიკალობა და ამ დარგში მას მასწავლებლის როლიც შეუძლია იკისროს; მართალია, გრამატიკულადაც მისი ქართული უნაკლოა და, საზოგადოთ, სოლეციზმების, კერძოთ რუსიციზმის ნასახსაც ვერ იპოვნით მის ნაწერებში... სუ-ყველაფერი ეს მართალია. მარა ნუ დაავიწყდება ჩვენს ნიჭიერს მგოსანს, რომ უკიდურესობა ყოველთვის მავნებელია, რო გადამეტებული ვარჯიშობა, მაგალითათ, ფიზიკური, ავტომატიურს ხასიათს აძლევს სხეულთა მოძრაობას, ბუნებრივ გრაციას ჩრდილავს, ჯამბაზობათ გადიქცევა. ნუ გადააჭარბებს პოეტიც ფრაზების გალამაზებაში; ნუ გაიხდის სპორტათ ახალ-ახალ ეპიტეტების გამოძებნას; ნუ დაავიწყდება, რომ აკაკის პოეზიის ჯადოსნობა, უმთავრესათ, მისი ლექსების ბუნებრივობა — სიმარტოვეშია, რო „ფრაზა“ სძულს აკაკის!

სამინუშოთ ჩვენ აქ ამოვწერთ რამდენიმე ეპიტეტს, წინადადებას, ლექსის სათაურს, რომლებიც უცნაურ პოეტურ სამოსელშია გახვეული.

„ალერსის ნატეხი“, „ლურჯი სურვილი“, „მიტკლის ბაგე“, „გიშრის ღამე“, „სანთლების ხეივანში“, „თმების სიცილი“, „დამტვრეული ცრემლები“, „მზის სხივთა ნაჭუჭები“ და სხვა ბევრი ასეთი უცნაური სიტყვები და ეპიტეტები შეგხვდებათ ბ. ი. გრიშაშვილის ლექსებში. თქვენც დამეთანხმებით, რომ ეს ფრაზები ყოველივე პოეტურს სიშვენიერეს არის მოკლებული და სრულებით ხელს არ უწყობს აზრის გაშუქებას, საგნის გახორციელებას.

სხვისი რა მოგახსენოთ, და ჩვენში-კი არავითარ ჩაბეჭდილებას იწვევს ისეთი — გარეგნულათ ლამაზი და ორიგინალური სიტყვათა თაიგულიც, როგორიც არის ლექსი „ტბის დედოფალი“. აი, ნაწილი ამ ლექსისა:

„დამესიზმრა: — ტბის ასული ტბის ქაფთაგან
ყვავილს ჰქმნიდა,

აბრეშუმის ჩამოქნილ თმებს მზის სავარცხ-
ლით ივარცხნიდა;
თეთრ ყირმიზის საროს ნაკვთზე ჩაკვდომოდა
შვების ღიმი
და ცვარ-მიყრილ ძუძუ მკერდით გამოკრთო-
და ტბის ციმციმი;
კბილთა მძივი სხივ-ანკარა, სხივს აყრიდა მარ-
ჯნის თლილ ქვებს
ფეხთ სამოსი განეცარცვა, და მღეროდა ვარ-
დის სიტყვებს,
აეროვან ტანს არხევდა, ტანს მზის შუქით
ნაქარგ—ნაქსოვს“ (150)...

აქ თითოული სიტყვა, მითუმეტეს თი-თოული ფრაზა, ცალკე აღებული და განხილული, საუცხოოდ და მხატრულია, მარა ერთათ შეკრულ-შეზავებული და საგანგებოთ ფერ-უმარულ წასმული უფრო შეგირდისგან ცუდათ დახატულ სურათს (лубочная картина) მოგაგონებს, ვინემ ოსტატისგან შექმნილს ხელოვნურ ნაწარმოებს....

ცდება პოეტი და მასთან ერთათ ცდებიან მისი ასეთის წერის მანერის მომხრენი იმაში, რო დავიწყნიათ შემდეგი: ნამდვილი ხელოვანი ერთის ხაზის მოსმითაც, ერთის უბრალო, მარა მოხერხებულათ ნახმარ სიტყვითაც შესძლებს შეუდარებლათ გაასულიეროს უსულო საგანი, ხორცით და ნერვებით შემოსოს ის, სისხლით გააღაჟღაჟოს მისი სახე... ნამდვილ პოეზიისთვის სრულებით საჭირო არ არის გულმოდგინეთ გაშალაშინებული—გაპრიალებული სიტყვათა ვაკხანალია. როგორც ვიცით, მარტივი და სადა სურათ ხატების კლასიკურს მაგალითს წარმოადგენენ—ჩვენში აკაკი, რუსეთში პუშკინი.

სამწუხაროთ, მარტო ი. გრიშაშვილი არ არის ამ სენით ავათ; მითი ავათმყოფია—და საგრძნობელათაც—მეორე ახალგაზდა ნიჭიერი მგოსანი ს. აბაშელი.. და თითქმის ყველა ჩვენი ახალგაზდა პოეტები. როგორც კრილოვის გლეხს ნამეტანის ხეხვით (უნდოდა ნაპოვი ოქრო გაებრეყვიალებინა და მეტ ფასათ გაეყიდნა) ხელში შამოადნა ოქრო (წონა მოაკლდა) და მით ფასი დაუკარგა მას, ისე ჩვენს პოეტებსაც მეტის მეტი ფხეკა—ხეხვა—გაშალაშინებით ხელში ადნებათ თავის თავათ ძვირფასი ქართული სიტყვები და ფრაზები და ამით თვის შემოქმედებას ფას უკარგვენ. და, თუ მათ დროზე თავი არ დაანებეს ფრაზათა შექმნა—გაბრეყვიალებაში შეჯიბრებას, დოლს, მაშინ ჩვენს პოეტურს ენას საფრთხე მოელის:...

V

მოკლეთ ჩვენი შეხედულობა ი. გრიშაშვილზე შემდეგია:

ი. გრიშაშვილი მომავლის პოეტია; მასში დიდი პოტენციალური ძალაა შენახული. მგოსანი დღესაც, იმისდა მიხედვითაც, რაც დაუწერია, სრულებით არ არის „მეტი ქყეყნათ, არარა, მიწა და მტვერი“, როგორც თვითონ გონია (167). მხოლოთ უნდა იცოდეს მგოსანმა, რო, თუ ძველს გზას არ აუხვია და ახალს არ დაადგა, ფერადები მისის პოეზიისა ჩქარა გახუნდება, ჩანგის ნაზი სიმებიც გაცვდება და მისი სახელიც“ მკრთალის ასოებით ჩაიწერება ჩვენს მგოსანთა სიაში.

ი. გრიშაშვილი გახდება ღირსშესანიშნავ მხატვრათ მაშინ, როდესაც სამშობლო გააცნობს მას „აწმყოს, წარსულს, მომავალს“; კერძოთ მაშინ, როდესაც დაეწაფება ჩვენი ზეპირ სიტყვაობის უშრეტს წყაროს და იქიდან დაიწყებს ობოლ მარგალიტების ამოკრეფას ისეთის ოსტატობით, როგორც ამას ახერხებს დღეს ვაჟა-ფშაველა.*)

ი. გრიშაშვილი, საზოგადოთ, სიტყვა-კაზმულობის ნამდვილი ვირტუოზია, მარა ლექსის „შექმნაში“ გადაჭარბება ეტყობა, მომეტებულათ უკანასკნელ ხანებში. ეს-კი ძლიერ სახიფათოა: შეიძლება მგოსანი ზომიერებას მთლათ გადაცდეს, სიტყვებით გუნდაობას საბოლოოთ შეეჩვიოს და მით თვის შემოქმედებას სრულიათ ფასი დაუკარგოს.—

ბუნების კერძო მოვლენათა აღწერა პოეტს ეხერხება, მთლიანს სურათს—კი ვერ ქმნის. საყურათღებოა ისიც, რომ ი. გრიშაშვილის ბუნების აღწერა ზოგადის ხასიათისაა, არ ემჩნევა საქართველოს ბუნების ელფერი, მისი ნიშანდობლივი თვისება, მგოსანს ვერ მოუხერხებია დაეწერა ისეთი ლექსი, რომელიც ნათელ წარმოდგენას იძლეოდეს საქართველოს საზღაპრო სიშვენიერეზე. როგორც ქალაქში დაბადებულს და აღზრდილს, მას, ეტყობა, ორგანიულათ ვერ შეუსისხლხორცებია თვისი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ სამშობლოს,—კერძოთ, საქართველოს სხვა და სხვა კუთხის სილამაზე და შვენიერება...

ერთ ლექსში ი. გრიშაშვილი ამბობს:

„მე ყვავილი ვარ, ზღვის ყვავილი, სნეულათ მყოფი.

*) ნიჭიერი კრიტიკოსი ვაჟა-ფშაველას ლირიკის დაფასებაში აჭარბებს. ხომლელი.

ვეკნები! და მხოლოთ სადარდებლათ თან
ის შიმყვება,
რო ვერ ვიმრავლე, ვერ დავსტოვე ჩემი ნა-
ყოფი“ (91).

სწორეთ თვისი „სნეულების“ ასეთ გულრწფელათ შეგნებაშია ი. გრიშაშვილის ხსნა; აქ არის ჩამარხული მისი მომავალი ბედი და ნაყოფიერება! „სნეულების“ მთავარს მიზეზს, როგორც ვიცით, მგოსანმა მიაგნო. აწ-კი იმედია, რო მისი ძლიერი ორგანიზმი ავათმყოფობას გადაიტანს და კიდევ დიდს ხანს იცოცხლებს, „იმრავლებს“ ქართულ პოეზიის სასარგებლოთ.

ივ. ვაროსგავა.

წ. კ. ს. ᲧᲣᲚᲐᲑᲘᲡ ᲛᲝᲞᲐᲠᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ „ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ“.

ჟურნალ-გაზეთების კანტორის გამგე ის. კვიცარიძეს წ. კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისგან ებარა ფულების შესანახავი ყულაბი, რომელიც კანტორაში საგაზეთე მაგიდაზე ედგა და მსურველები აგდებდენ შიგ თითოოროლა გროშს.

ამ გვარი ყულაბები გამგეობას სხვა საავაჭროებსა და დაწესებულებებშიაც აქვს ჩამორიგებული ამ კულტურულ საქმის საშვალებათა გასაძლიერებლათ.

ამ ყულაბებით განყოფილების ხაზინადარი ყოველ-წლობით აგროვებს ფულებს და წელსაც ბ. მოსეშვილმა ჩამოიარა ყულაბებიდან ფულების შესაგროვებლათ.

26 მარტს, საღამოს, ხაზინადარი მოსეშვილი მოვიდა კანტორა „იმერეთში“ და მოითხოვა ყულაბი. კანტორის გამგემ იგი მოთხოვა თავის მოლარე ქალს, რომელმაც მიიძმოიძია, მარა არც მაგიდაზე, არც სხვაგან საზოგადოების ყულაბი აღარ ამოჩდა, ვიღაცის უკულმართ ხელს იგი მოეპარა, მხოლოთ, როდის, ან ვის ამის აღმოჩენა შეუძლებელი შეიქნა.

კანტორის გამგეს ეპვი ისევ თვის მეგაზეთეებზე აქვს, რომლებმაც ეს მესამეჯერაა ცარცვა-გლეჯა ჩაიდინეს კანტორაში.

პირველათ კანტორის ოთხმა მეგაზეთემ, რომლებმაც მისი ყოველივე შესავალ-გასავალი იცოდენ, შარშან ეზოდან ჩამტვრიეს კანტორის მინიანი უკანა კარები და გაიტაცეს იქიდან თუჯის კასა, რომელშიაც პატრონს ქონებოდა 10 მ. 15 კ.

წაღებული კასა კანტორას მეორე დღესვე მოუნახეს, მხოლოთ ამის მომქმედნი დღესაც თითო წლის სასჯელს იხდიან ციხეში, სადაც ერთი მათგანი უკვე გარდაიცვალა.

მეორეჯელ ქურდობა იქვე ისევ კანტორის მეგაზეთემ (ყ-ლმა) ჩაიდინა. ეს მოხდა ახლახან იანვარში, როცა კანტორის გამგე დილა ადრიანა, 6 საათზე, სადგურზე წასულიყო გაზეთების მოსატანათ. ამ დროს კანტორის ერთ მეგაზეთეს ედროვებინა, შეეღო ქუჩიდან კარი, გაეღო მაგიდის ყუთი, ამოეღო იქიდან ოცი მანათი ხურდა და ქაღალდის ფული, ხოლო დავთრები და კასიატაკზე მოერიალებია.

მესამეთ-კი ახლა 26 მარტს აღმოჩდა, რო, კანტორის იმავე მეგაზეთეებმა არ დაინდვეს თავის მრჩენელი და მის გაუტეხლათ მოპარეს წ. კ. საზოგადოების ყულაბი, რომელშიაც გამგის თქმით იქნებოდა 1—2 მ. გროშის ფული.

აი, ასე არიან შეჩენილნი ქუთათური მეგაზეთეები ამ კულტურულ-საზოგადოებრივ, მწიგნობრობის გამავრცელებელ დაწესებულებას, რომელსაც კეთილი სახელი აქვს მოხვეჭილი არა მარტო ქუთაისის მცხოვრებთა შორის, არამედ მთელ ქუთაისის გუბერნიაში და მის გარეშეც. ასეთ და ხშირათ უარეს ბრძოლას აწარმოებენ ქუთათური მეგაზეთეები კანტორა „იმერეთის“ წინააღმდეგ და აუტანელ ზნეობრივ და ნივთიერ ზარალს აყენებენ მას დღიდან მისი დაარსებისა და, არ იქნა, იმათი ამ საქმიდან ჩამოშორება.

კანტორის გამგე-კი მათ კულტურული საშვალებით, პრესის ფურცლებზე ებრძვის მათ ყაჩაღურ მიდრეკილებას, მარა მარტოხელი ვერა გახდა რა ამ ბრძოლაში. ქუთათური საზოგადოება-კი ამ სამწუხარო მოვლენას მწიგნობრობის საქმეში ჩვეულის გულგრილობით უყურებს და ერთხელაც არავის გაუკიცხავს არც ერთი მათგანი ასეთი უდიერი საქციელისთვის და, ამიტომაც, ისინიც თამამათ თარეშობენ ბულვარზე და ქუჩებში და განაგრძობენ კანტორისადმი უგვანო ბრძოლას...

საჭიროა, ბეჭდითი სიტყვის გავრცელებისთვის ასეთ შეუფერხებელ მოვლენას ქუთაისის საზოგადოებამ მიაქციოს ყურათღება და ალაგმოს ასეთი მისი პიონერების საქციელი.

X-ისა.

ᲨᲔᲪᲗᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲬᲝᲠᲔᲑᲐ.

მეშვიდე ნუმერში შეკთომით არის დასტამბული—პოეტი მარკოვი. უნდა იყოს: პოეტი მაიკოვი. 32-ე გვერდზე დაბეჭდილია—გაამარილებს. უნდა იყოს: გაამართლებს.

რედაკტორ-გამომცემელი ს. მწკედლიძე.

სტამბა „ძმობა“. ნებადართულია სამხედრო ცენზორისგან

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო და სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

„განთიად“-ზე,

რომელიც გამოვა ორკვიოაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მან. 60 კაპ., ნახევარი წლით 2 მან. 30 კაპ., სამი თვით 1 მან. 15 კაპ., თვიურათ 50 კაპ., თითო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ხელის მოწერისას 2 მან. 60 კაპ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა შეიძლება ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში წ. კ. გ. საზოგ. მდივანთან, ბაქოში, ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში კოწია გამყრელიძესთან, ხონში – გიგლა ჩებუკესთან, ბათომში სოსიკო მდივანთან, სოხუმში ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში თ. იასონ მერაბისძე ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Гор. Кутаисъ. Роману Спиридоновичу Панцхава.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო“

გაზეთის ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი – 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი პორტრეთები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ პორტრეთები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სიი ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი ი. თ. ტინტაძე.